1008. ქურდაძე რ. ქართული ენის თვითმასწავლებელი დასახანი ხარვეზებით // ბურჯი ეროვნებისა. - 2003. - №3-4. - გვ. 30-32. ხათუნა გელაშვილის უცხოელთათვის განკუთვნილი ქართული ენის თვითმასწავლებლის – “Georgian: An English-Georgian Self-Study and Reference Phrase-Book with 2 Audio Cassettes”- კრიტიკული განხილვა.

1009. დიბრაძე ს. სპარსულ-არაბული წარმომავლობის შენობანაგებობათა აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები სულხან-საბა ორბელიანის „ქართულ ლექსიკონში“ // ტიპოლოგიური ძიებანი. - 2005. - ტ. 5. - გვ. 272-282. რეზ. ინგლ. ენაზე.

1010. შაბაშვილი გ. პერფექტულობის სემანტიკა და პირის კატეგორია // ენათმეცნიერების საკითხები. - 2006. - ტ. 1-2. - გვ. 76-80. რეზ. ინგლ. ენაზე.

სტატიაში განხილულია მასალა, რომლის მიხედვითაც ნათელი ხდება, რომ უკვე ძველი ქართული ენის ფორმებში არსებობს უნებურობისა და უნახაობის სემანტიკის ჩასახვის საფუძველი.

1011. შადური ი. ფინიტური და არაფინიტური ზმნური კომპლექსები აფხაზურში და ფინიტობის ცნების განსაზღვრება // ტიპოლოგიური ძიებანი. - 2005. - ტ. 5. - გვ. 283-290. რეზ. ინგლ. ენაზე.

1012. შადვაძე თ. ფერთა სიმბოლიკა სხვადასხვა კულტურათა ენაში / თეა შავლაძე, მია ნათაძე // ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები: ჰუმანიტარულ

მეცნიერებათა სერია. - 2005. - კრ. 7. - გვ. 73-75. რეზ. ინგლ. ენაზე.

ფერთა სიმბოლოების გამოყენება ქართულ, რუსულ, ინგლისურ და გერმანულ ენებში და მათი გამოხატულება სასაუბრო მეტყველებასა და მხატვრულ ლიტერატურაში.

1013. შადვაშილი ღ. ქართული სამედიცინო ტერმინოლოგია და მისი კავშირი თანამედროვე ქართულ ენასთან // თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი: პრობლემა. - 2004. - №4(16). - გვ. 124-128. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

1014. შონია ა. ქონების სახელთა წარმოება და მორფოლოგიური ცვლილებები მეგრულ-ლაზურში // წელიწადეული: თსუ ზუგდიდის ფილიალი. - 2005. - ტ. 1. - გვ. 340-342. რეზ. ინგლ. ენაზე.

ქონების სახელთა მაწარმოებელი სუფიქსები: -იან, -იერ, -ოსან, -ოვან, -ა, -ედ ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურასა და -ამ, -თან, -ურ, -ოსან, -ოვან, -ონ – მეგრულ-ლაზურში.

1015. ჩანტლაძე ი. პირველად და მეორეულ ფონემათშესატყვისობათა ურთიერთმიმართებისათვის ქართველურ ენებში // ივერია: ქართულ-ევროპული ინსტიტუტი. - 2004-2005. - ტ. 12-13. - გვ. 186-192.

ქართული წ, ზანური ჭ, სვანური ჭჷჷ ფონემათშესატყვისობა და მათთან დაკავშირებით არსებული პრობლემების განხილვა.

1016. ჩანტლაძე ი. ძირის სემანტიკური ვარიაციები ქართველურ ენებში // ენათმეცნიერების საკითხები. - 2006. - ტ. 1-2. - გვ. 69-72. რეზ. ინგლ. ენაზე.

საერთო ქართველური ენების კუთვნილება დეგ->დგ->გ – ძირის ვარიაციები, რომელიც სხვადასხვა ფონეტიკური პროცესის მოქმედების შედეგადაა მიღებული.

1017. ჩანტლაძე-ბაქრაძე გრ. კავკასიისა და პირენეის იბერთა სიმორე-სიასლოვის შესახებ არსებული ჰიპოთეზები დიაქრონულ და სინქრონულ ჭრილში // ლიტერატურული აჭარა. - 2003. - №11. - გვ. 86-93.

ესპანეთში, ბოტორიდაში აღმოჩენილი იბერიული წარწერა და ქართველ და უცხოელ მკვლევართა მოსაზრებანი ბასკურ-კავკასიურ ენათა ნათესაობის შესახებ.

1018. ცოცხანიძე გ. თუშეთში თუშურ დიალექტურ ლექსიკონზე მუშაობის ანგარიში // ბურჯი ეროვნებისა. - 2003. - №3-4. - გვ. 19-22.

ენათმეცნიერ გიორგი ცოცხანიძის სამეცნიერო მივლინების ანგარიში და მისი წიგნი „თუშური ლექსიკონი“.

1019. ცქიტიშვილი თ. ერთი ზმნური ფუძის ისტორიისათვის ქართულში ტრ-(ტრვა) // ტიპოლოგიური ძიებანი. - 2005. - ტ. 5. - გვ. 301-318. რეზ. ინგლ. ენაზე.

V-XII საუკუნეების ქართულ სამწერლო ძეგლებში, უპირატესად, ბიბლიურ ტექსტებში მოძიებული მასალა და მისი ანალიზი.

1020. ძაძამია ც. აქრომატულ ფერთა აღმნიშვნელი ლექსიკა ძეგრულში // ივერია: ქართულ-ევროპული ინსტიტუტი. - 2004-2005. - ტ. 12-13. - გვ. 180-185.

ფერთა აღმნიშვნელი ლექსიკის სიახლოვე ძეგლ ქართულ და სვანურ ენათა მასალასთან და გარკვეული თავისებურებები (რთულშემადგენლიან კომპოზიტთა წარმოქმნის ისტორია).

1021. ჭახნაკია ნ. რაზე მეტყველებენ ქართული სიტყვის არქეტიპული ფორმები // თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინივერსიტეტი: პრომეთე. - 2005. - №6(18). - გვ.97-99. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

ცნება-ტერმინების – „ადამიანი“ და „წყალობა“ – ენათმეცნიერული ანალიზი.

1022. ჭეიშვილი ლ. რამდენიმე შეხვედრა დიდ მეცნიერთან // ბურჯი ეროვნებისა. - 2003. - №1-2(62). - გვ. 8-9.

მოგონებები აკაკი შანიძეზე.

1023. ჭიკაძე რ. „ნაშრომი განძად დაშთების“ // ბურჯი ეროვნებისა. - 2003. - №1-2. - გვ. 31-34.

ენათმეცნიერ ზ. სარჯველაძის დვაწლი ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის კვლევაში. განხილულია მისი ნაშრომები: „ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის საკითხები“, „ძველი ქართული ენა“, „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი“ (ჰაინც ფეინრიხთან ერთად) და სხვა.

1024. ჭუმბურიძე ზ. აკადემიკოს თამაზ გამყრელიძის ორი წერილის გამო // ბურჯი ეროვნებისა. - 2003. - №5-6. - გვ. 6-7; №7-8. - გვ. 4.

გაზ. „ლიტერატურულ საქართველოში“ დაბეჭდილი ორი წერილი – „სამხრეთ კავკასია“ თუ „სამხრეთი კავკასია?“ და „რანაზე მეტყველებდა მეფე აიეტი და მისი ქალიშვილი – გრძნეული მედეა?“

1025. ჭუმბურიძე ზ. რა გქვია შენ?. - თბ., 2003. - 271 გვ.

რეც.: სუხიშვილი თ. მითხარი, რა გქვია შენ და გეტყვი, ვინა ხარ // ბურჯი ეროვნებისა. - 2003. - №9-12. - გვ. 14-20.

1026. ხუფენია თ. პრედიკატული განსაზღვრება მეგრულში // წელიწდეული: თსუ ზუგდიდის ფილიალი. - 2005. - ტ. 1. - გვ. 325-326. რეზ. ინგლ. ენაზე.

ვითარების გარემოებით გადმოცემული მსგავსი და განსხვავებული საცილობელი ფორმები ქართულსა და მეგრულში.

1027. ჯავახიშვილი გ. წერილები ალექსანდრე გვენცაძის არქივიდან / გიორგი ჯავახიშვილი, როინ ჭიკაძე // ბურჯი ეროვნებისა. - 2005. - № 1-3. - გვ. 22-29.

იოსებ გრიშაშვილის, აკაკი შანიძის, გიორგი ლეონიძის, ვარლამ თოფურიას, არნოლდ ჩიქობავასა და გრიგოლ კიკნაძის წერილები ალ. გვენცაძისადმი (ფილოლოგი, თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის თანამშრომელი).

1028. ჯაიანი გ. გერმანული სინონიმები, ანტონიმები, ომონიმები და მათი ქართული ეკვივალენტები // თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი: პრომეთე. - 2005. - №6(18). - გვ. 242-244. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

1029. ჯაფარიძე ზ. სუბსენსორული დონის ფონეტიკური ერთეულების ექსპერიმენტული კვლევის მეთოდები // ენათმეცნიერების საკითხები. - 2006. - ტ. 1-2. - გვ. 19-21.

1030. ჰარისი ა. ისტორია სინქრონიის მხარდასაჭერად // ენათმეცნიერების საკითხები. - ტ. 1-2. - გვ. 81-88. რეზ. ინგლ. ენაზე.

ისტორიული მონაცემების შესწავლის მნიშვნელობა სინქრონულ ენათმეცნიერებაში: (პირთან შეთანხმება ძველ ქართულში).

1031. Сихарулидзе Т. О синхронических и диахронических аспектах языковой ситуации в Грузии // ამირანი. - 2006. - ტ. 14-15. - გვ. 236-255. რეზ. ქართ. და ინგლ. ენებზე.

Взаимоотношения языков и их функциональная нагрузка в пределах Грузии. Замена грузинского алфавита в Абхазии русской графикой в 1954 году. Фактический и юридический статус грузинского языка.

1032. Чрелашвили К. Тенденции развития грузино-цоватушинского (бацбийского) двуязычия // ტიპოლოგიური ძიებანი. - 2005. - ტ. 5. - გვ. 319-337. რეზ. ინგლ. და ქართ. ენებზე.

Рассматриваются интерферентивные явления, наблюдаемые в цоватушинском (бацбийском) языке, возникшие под влиянием грузинского языка.

1033. Butskhridze M. Reduplicative Patterns in Georgian // ტიპოლოგიური ძიებანი. - 2005. - ტ. 5. - გვ. 35-45. რეზ. ქართ. ენაზე. რედუპლიკაციის ფორმები ქართულში.

1034. Eckardt M. Kaukasiologische Beiträge in der “Wissenschaftlichen Zeitschrift” der Friedrich-Schiller-Universität Jena 1965-1990 // ამირანი. - 2006. - ტ. 14-15. - გვ. 141-146.

განხილულია კავკასიოლოგიური კვლევების ისტორია იენის უნივერსიტეტში. მოცემულია უნივერსიტეტის შრომებში – „სამეცნიერო ჟურნალი“ – 1965-1990 წ.წ. გამოქვეყნებული სტატიების ბიბლიოგრაფიული სია.

## **ლიტერატურათმცოდნეობა** საერთო

1035. ბარამიძე ლ. მიხეილ კინწურაშვილი (იასამანი) უკრაინული ლიტერატურის მკვლევარი / ლ. ბარამიძე, ც. ხახანაშვილი. - თბ., 2005. - 72გვ.

უკრაინული ლიტერატურის კლასიკოსების – ტარას შევჩენკოს, მიკოლა ბაჟანის, ივან ფრანკოს, ლესია უკრაინკას, მიხაილო კოციუბინსკის ცხოვრება, მოღვაწეობა და ურთიერთობა საქართველოსთან.

1036. სამსონია ნ. მიხეილ (მიხაკო) წერეთელი და ასრიოლოგია. - თბ., 2005. - 115 გვ.

მიხაკო წერეთლის ცხოვრების გზა, მისი ღვაწლი ძველი აღმოსავლეთის ისტორიისა და ფილოლოგიის კვლევის საქმეში.



1037. ტურავა მ. წერილები ლიტერატურაზე. - თბ., 2005. - 71 გვ.  
ვაჟა-ფშაველასა და ეთერ თათარაიძის პოეზია, ოთარ ჭილაძის მხატვრულ-ესეისტური სამყარო („ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“), ედგარ პოს პოეზიის პერსონაჟები და წერილები ფრანც კაფკაზე.

1038. შენგელია მ. წერილები. - თბ., 2005. - 98 გვ.

წერილები ეხება ვაჟა-ფშაველას „ალუდა ქეთელაურსა“ და „სისხლის ძიებას“, აკაკი წერეთლის დამოკიდებულებას ფოლკლორისადმი, გურამ პეტრიაშვილის მოსაზრებებს ჯემალ აჯიაშვილის მონძემონ ჩიკამაცუს პოემის თარგმანსა და ილიას „განდეგილზე“.

1039. შენგელია ქ. მზისფერი ქუდი: ლიტერატურული ნარკვევები და ესეები. - თბ., 2005. - 137 გვ.

ვაჟა ფშაველას, გრ. რობაქიძის, ბონდო მაცაბერიძის ლიტერატურული პორტრეტები; ფიროსმანის, ომარ დურმიშიძის, ზურაბ ნიჟარაძის, გია ბუღაძის, გია ცინცაძისა და სხვ. ფერწერა.

1040. ჩხეიძე პ. ივანე მაჩაბლის ტრადიცია. - თბ., 2005. - 351 გვ.

უილიამ შექსპირის ნაწარმოებთა თარგმნის ისტორია საქართველოში.

ი. მაჩაბლის მთარგმნელობითი მეთოდი და შექსპირის პიესების შემდგომი თარგმანები.

1041. ბარამიძე ლ. ღესია უკრაინკა საქართველოში / ღამარა ბარამიძე, ცისანა ხახანაშვილი // თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი: პრობლემა. - 2005. - №6(18). - გვ. 203-206. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

მიხეილ კინწურაშვილის (იასამანი) წველილი უკრაინელი პოეტის შემოქმედების შესწავლა-პოპულარიზაციის საქმეში.

1042. ბიბილეიშვილი ი. მემედ აბაშიძე – სალიტერატურო კრიტიკის მესაძირკვლე აჭარაში // ლიტერატურული აჭარა. - 2003. - №9. - გვ. 22-27.

მ. აბაშიძის წერილების – „ქემაღ ბეგი“, „თურქეთის ბურჟუაზიული ლიტერატურა“, „ქართული ენის განწმენდისათვის“, „ვეფხისტყაოსნის საკითხის გარშემო“ – განხილვა.

1043. გომელაური-თურქია ე. დაუვიწყარი შეხვედრები // ლიტერატურული აჭარა. - 2004. - №1. - გვ. 103-111.

ლიტერატორ ქეთევან ანანიაშვილის ურთიერთობები მხატვარ რენო თურქიასთან და რუს მწერალ არსენ ტარკოვსკისთან.

1044. დაუშვილი რ. ქართველ მწერალთა იუბილეები ემიგრაციაში: (XX ს. 20-30-იანი წწ.) // კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები. - 2005. - №22. - გვ. 85-95. რეზ. ინგლ. ენაზე.

ქართული ემიგრაციის მიერ ჩატარებული ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, შოთა რუსთაველის საიუბილეო საღამოები და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებანი გერმანიაში, საფრანგეთში. პოლონეთში, საბერძნეთში, შვეიცარიაში და სხვ.

1045. ზედგინიძე ე. „შემოდამება მთაწმინდაზე“ და „მთაწმინდის მთვარე“ // კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა. - 2006. - №10. - გვ. 64-68. რეზ. ინგლ. ენაზე.

რომანტიკოსი პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედების გავლენა გალაკტიონ ტაბიძის პოეზიასა და მსოფლადქმაზე.

1046. ზოიძე ზ. „რეკვიემი“ ქობულეთში // ლიტერატურული აჭარა. - 2003. - №11. - გვ. 83-85.

ბიბლიოფილ მამია ხარაზის ბიბლიოთეკაში დაცული რუსი პოეტის ანა ახმატოვას ლექსების კრებულ „რეკვიემის“ იშვიათი ეგზემპლარი.

1047. ზურაბიშვილი ლ. კრისტა ვოლფის რომანი „მედეა“ // თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი: პრობლემა. - 2005. - №6(18). - გვ. 194-197. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

არგონავტთა თქმულების საფუძველზე შექმნილი გერმანელი მწერლის კრისტა ვოლფის რომანი „მედეა. ხმები“, რომელშიც მწერალმა იაზონ-მედეას ტრაგიკული რომანის ერთი ეპიზოდი დაამუშავა.

1048. თედორაძე დ. სამშობლოს სამსახურისთვის ბოძებული ნიჭი // ლიტერატურული აჭარა. - 2003. - №2. - გვ. 90-98.

აჭარის კულტურის მინისტრის, ლიტერატორ თეიმურაზ კომახიძის ცხოვრება და მოღვაწეობა.

1049. იორდანიშვილი ლ. სოლომონ იორდანიშვილი და მიკოლა ბაჟანი // ბურჯი ეროვნებისა. - 2003. - №3-4. - გვ. 27-29.

უკრაინელი მწერლის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნა და ს. იორდანიშვილის ღვაწლი ამ საქმეში.

1050. იორდანიშვილი ლ. წარსულის ფურცლები: კეთილგონიერი ქალბატონის ელისაბედ ორბელიანის ბარათები სოლომონ იორდანიშვილთან // ბურჯი ეროვნებისა. - 2003. - №9-12. - გვ. 14-20.  
თანამშრომლობა ქართველ მწერალთა ნაწარმოებების ფრანგულ ენაზე თარგმნისას.

1051. კობახიძე ი. ქართველი სიმბოლისტები და სომხური ლიტერატურა // თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი: პრომეთე. - 2004. - №3(15). - გვ. 82-87. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

კოლაუ ნადირაძის მიერ თარგმნილი სომეხი პოეტების ელიშე ჩარენცისა და აზატ-გშტუნის ლექსები და გრ. რობაქიძის ესე „ჰაიასტან“, შექმნილი სომხეთში შემოქმედებითი მოგზაურობის დროს მიღებული შთაბეჭდილებების შედეგად.

1052. კოტორაშვილი თ. გერმანული პოეზია მე-20 საუკუნის 20-30-იანი წლების ქართულ ლიტერატურულ ჟურნალებში: (თარგმანები) // თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი: პრომეთე. - 2004. - №4(16). - გვ. 143-147. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.  
ვალერიან გაფრინდაშვილის, იოსებ ბაქრაძის, ჭოლა ლომთათიძისა და სხვათა მიერ შესრულებული ჰაინრიხ ჰაინეს პოეზიის ქართული თარგმანების ანალიზი.

1053. მამფორია გ. იონა მეუნარგია – ქართველ მწერალთა მემბტიანე // წელიწადი: თსუ ზუგდიდის ფილიალი. - 2005. - ტ. 1. - გვ. 273-284. რეზ. ინგლ. ენაზე.

კრიტიკოსის მეცნიერულ-ესეისტური სტილის ნაშრომების მიმოხილვა.

1054. მაჭარაშვილი კ. ოვანეს თუმანიანი და საქართველო // საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. - 2003. - №6. - გვ. 164-171. რეზ. ქართ., რუს. და ინგლ. ენებზე.

ქართველი და სომეხი ხალხის მეგობრობის სურათები სომეხი პოეტის შემოქმედებაში.

1055. მიშველაძე რ. მხატვრული ნაწარმოების შეფასების პრინციპები. - თბ., 2000. - 140 გვ.

რეც.: ბიბლიეშივილი ი. ლიტერატურული სიმადლეების მის-  
აღწევად // ლიტერატურული აჭარა. - 2003. - №6. - გვ. 82-86.

1056. ნარაკიძე შ. „კურბეთი მა ვარ ფშინამ ა თბილისი...“ //  
იმეჯი. - 2003. - №10. - გვ. 28-30.

ლაზი პოეტის ხასან პელიმიშის (1907-1976) ცხოვრება და  
შემოქმედება. მისი ბრძოლა ლაზთა ეროვნული თვითშეგნების  
ამადლეაში.

1057. სილაგაძე ა. ლექსთწყობათა ტიპოლოგიის ზოგიერთი საკ-  
ითხი: (წინასწარი შენიშვნები) // ტიპოლოგიური ძიებანი. - 2005.  
- ტ. 5. - გვ. 231-242. რეზ. ინგლ. ენაზე.

ქართული ლექსთწყობის სისტემა.

1058. სოსაძე თ. რობერტ ბერნსი ქართულ სინამდეილეში //  
კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა. - 2005. - №8.  
- გვ. 332-333. რეზ. ინგლ. ენაზე.

ვახტანგ ჭელიძე, თამარ ერისთავი და ციალა თოფურიძე რობ-  
ერტ ბერნსის შემოქმედების შესახებ.

1059. ჩადუნელი თ. „დაქტილისებური,“ // კლასიკური და თან-  
ამედროვე ქართული მწერლობა. - 2004. - №7. - გვ. 303-306. რეზ.  
ინგლ. ენაზე.

ენათმეცნიერ კოტე დოდაშვილის შეხედულება ქართული  
ლექსწყობის საკითხებზე.

1060. ჩიქვინიძე ი. ბერტა ზუტნერის უცნობი ორი წერილის  
შესახებ // საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები. - 2005.  
- ტ. 8. - გვ. 181-187. რეზ. ინგლ. ენაზე.

1885 წლით დათარიღებული წერილების ადრესატია პუბლი-  
ცისტი იონა მეუნარგია, რომელთან ერთადაც ავსტრიელი ცოლ-  
ქმარი ბერტა და არტურ ზუტნერები თარგმნიდნენ „ვეფხ-  
ისტყაოსანს“ ფრანგულ ენაზე.

1061. ხომერიკი მ. ბიბლიური აღგვორია ძილ-ღვიძილისა და ქართუ-  
ლი მწერლობა // ლიტერატურული აჭარა. - 2003. - №8. - გვ. 55-  
61; №9. - გვ. 85-91.

„ძილის“ ცნება ქრისტიანულ მოძღვრებაში და „მძინარე და  
გამოდვიძებულის“ მხატვრული სახეები ქართულ მწერლობაში:  
(ავიოგრაფიული მწერლობა, „ვეფხისტყაოსანი“, გრ. ორბელიანი,  
ნ. ბარათაშვილი, ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, გ. ტაბიძე და სხვ.).

1062. ჯანაშია რ. არდავიწყება მოყვრისა – მარიამ პრიტვიცი // ბურჯი ეროვნებისა. - 2003. - №5-6. - გვ. 24-26.

მ. პრიტვიცის ბიოგრაფია და მის მიერ გერმანულ ენაზე თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“. თარგმანი არ არის გამოქვეყნებული.

1063. Боридзе А. Из истории. Руствелологии: (Ованес Караян) // თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი: პრომეთე. - 2004. - 4(16). - გვ. 167-170. რეზ. ქართ. და ინგლ. ენებზე.

Обзор стихов и переводов армянского поэта О. Караяна, одного из переводчиков “Витязя в тигровой шкуре”.

1064. Прилипка Р. Творческая деятельность И.А. Новикова в Грузии // თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი: პრომეთე. - 2004. - 4(16). - გვ. 154-160. რეზ. ქართ. და ინგლ. ენებზე.

Русский писатель, который жил и работал в Грузии в годы второй мировой войны. Обзор его стихотворений и переводов с грузинского.

1065. Цхорагаული И. Творческие связи Беллы Ахмадулиной с Грузией // თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი: პრომეთე. - 2004. - 4(16). - გვ. 161-166. რეზ. ქართ. და ინგლ. ენებზე.

## ბეელი

1066. გრიგლაშვილი ი. სტეფანე მტბევარის „წმინდა გობრონის წამება“: მონოგრაფია. - თბ., 2005. - 128 გვ.

X საუკუნეში მოღვაწე ჰაგიოგრაფის თხზულების ირგვლივ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებები.

1067. გრიგლაშვილი ლ. დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“. - თბ., 2005. - 295 გვ.

ნაშრომში წარმოდგენილია „გალობანი სინანულისანის“ მსოფლმხედველობრივი საკითხები, მხატვრული ღირებულება, ნაწარმოების ვარიანტები, კომენტარები და სიმფონია-ლექსიკონი.

1068. დავით გურამიშვილი – 300: სამეცნიერო შრომების კრებული. / [რედ.: გ. ბენაშვილი, ნ. სულავა]. - თბ., 2005. - 247 გვ.

ნ. მახათაძის, ქ. ბეზარაშვილის, ლ. კარიჭაშვილის, ტ. მოსიას, ლ. რუხაძისა და სხვ. ნაშრომები დავით გურამიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ.

1069. ელიავა ლ. ფილოსოფიური საკითხები რუსთაველთან. - თბ., 2005. - 20 გვ.

ფერები, ქალის კულტი, ვარდის სოციალურ-პოლიტიკური და სიმბოლურ-ესთეტიკური პრინციპები „ვეფხისტყაოსანში“.

1070. კალანდარიშვილი ე. ტიპოლოგიური ძიებანი: (რუსთაველი და დანტე). - თბ., 2005. - 75 გვ.

ალეგორია, სიყვარული, დროისა და სივრცის პოეტიკა რუსთაველისა და დანტეს შემოქმედებაში.

1071. კაჭაშვილი გ. ვა, სოფელო, რა შიგან ხარ№... - თბ., 2005. - 52 გვ.

სიკვდილისა და სიცოცხლის ურთიერთდამოკიდებულება ხალხურ პოეზიაში. ამ პრობლემის ლიტერატურული, თეოლოგიური და ფილოსოფიური გააზრება რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“.

1072. კაჭაშვილი გ. მოყმე ამაყად ყიოდა. - თბ., 2005. - 83 გვ.

განხილულია გმირის იდეალი ქართულ ხალხურ პოეტურ ტრადიციებსა და „ვეფხისტყაოსანში“, ასევე, მითოლოგიური წარმოდგენები და ფანტასტიკური ელემენტები პოემაში.

1073. მენაბდე ლ. ძველი ქართული ლიტერატურის შესწავლის ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა. - თბ., 2005. - 99 გვ.

მკვლევართა თაობების დამსახურება ძველ ხელნაწერთა მოპოვებაში, შეფასებასა და ისტორიულ-ლიტერატურული საკითხების დამუშავებაში; ქართველ და უცხოელ მეცნიერთა წვლილი ძველი ქართული ლიტერატურის შესწავლასა და პოპულარიზაციაში.

1074. ნოზაძე ვ. თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად. ტ. 2. ვეფხისტყაოსნის ვარსკვლავთმეტყველება. ვეფხისტყაოსნის ბუნებისმეტყველება. - თბ., 2005. - 520 გვ.

1075. ორბელიანი სულხან-საბა. მოგზაურობა ევროპაში / ს. იორდანიშვილისეული პირველი გამოცემის (1940 წ.) რეპრინტი. - თბ., 2005. - 227 გვ.

1076. პოპიაშვილი ნ. პერსონაჟის ხატვის თავისებურებები „სიბრძნე სიცრუისაში“. - თბ., 2005. - 134 გვ.

1077. ჟღენტი დ. აღორძინების პერიოდის ქართული ენა და ბესარიონ გაბაშვილის ლირიკა. - თბ., 2005. - 169 გვ.

ბ. გაბაშვილის (ბესიკის) პოეტური ნაწარმოებებისა და ისტორიული საბუთების ანალიზის საფუძველზე ნაშრომში წარმოდგენილია მწერლის თხზულებათა ენობრივი თავისებურებები.

1078. ხინთიბიძე ე. ვეფხისტყაოსნის სიყვარული. - თბ., 2005. - 136 გვ.

სიყვარული „ვეფხისტყაოსანში“ – ამ თემაზე არსებული ძირითადი მოსაზრებები და ნაშრომის ავტორის ახლებური კონცეფცია ამ საკითხზე.

1079. ასათიანი მ. ავთანდილის ანდერძი [„ვეფხისტყაოსანი“] // თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი: პრომეთე. - 2004. - №3(15). - გვ. 73-76. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

ანდერძი, როგორც ავთანდილის პორტრეტის ძირითადი სქემა, მისი სულიერი სამყაროს გამოსატყულება.

1080. ასათიანი მ. ლოცვა – სუნთქვა სულისა: („შუშანიკის წამებისა“ და „აბოს წამების“ მიხედვით) // თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი: პრომეთე. - 2004. - №3(15). - გვ. 64-67. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

ლიტერატურული ცნობიერება აგიოგრაფიულ თხზულებებში. ლოცვა – შინაგანი მონოლოგი ღმერთთან.

1081. ასათიანი ქ. „ნისიმეს ცხოვრების“ XII საუკუნის უცნობი ქართული ნუსხის შესახებ: (წინასწარი ცნობები) // მრავალთავი: ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი. - 2003. - ტ. 20. - გვ. 53-59. რეზ. რუს. ენაზე.

ვენაში დაცული, 1949 წელს აღმოჩენილი ხელნაწერის – „ნისიმეს ცხოვრების“ ტექსტოლოგიურ-ენობრივი შეჯერება ამავე თხზულების სხვა ქართულ ნუსხებთან.

1082. ახობაძე ლ. „იოანე აღექსანდრიელის ცხოვრების“ ქართული რედაქციები // მრავალთავი: ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი. - 2003. - ტ. 20. - გვ. 28-37. რეზ. ინგლ. ენაზე.

ქართულ მეტაფორასულ კრებულებში შესული „იოანე ალექსანდრიელის ცხოვრების“ განსხვავებული ვარიანტების (ათონური, იერუსალიმური დას ხვ.) ტექსტობრივი შედარება.

1083. ბაზაძე ლ. გრიგოლ რობაქიძის რუსთველოლოგიური ნააზრევი // კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა. - 2005. - №8. - გვ. 203-211; რეზ. ინგლ. ენაზე.

რუსთველოლოგიური პრობლემატიკის ასახვა გრ. რობაქიძის ენისტიკასა და მხატვრულ პროზაში.

1084. ბაზლაძე მ. „იაკობ სპარსის წამების“ ქართული პირველი კიმენური თარგმანი და მისი წყარო // მრავალთავი: ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი. - 2003. - ტ. 20. - გვ. 38-44. რეზ. ინგლ. ენაზე.

პარხლის მრავალთავში შესული თარგმანის შედარება ბერძნულ რედაქციებთან და სირიულ პირველწყაროსთან.

1085. ბაღხამიშვილი ბ. მეფე დავითის (აღმაშენებლის) სახე ანტონ პირველის „წყობილსიტყვაობის“ მიხედვით // კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა. - 2006. - №10. - გვ. 50-56. რეზ. ინგლ. ენაზე.

მეფეთა ღირსებების საკრალიზება, ბაგრატიონთა სამეფო კარის ლეგიტიმურობის ხაზგასმა ბაგრატიონთა დინასტიის ერთ-ერთი შესანიშნავი წარმომადგენლის – ანტონ კათალიკოსის შემოქმედებაში.

1086. ბარამიძე მ. ზოგიერთი სინონიმი და ჰენდიაღისი ზოსიმეს „სწავლა ს“ ქართულ თარგმანებში // ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სერია. - 2005. - კრ. 7. - გვ. 25-29. რეზ. რუს. ენაზე.

ეფთვიმე ათონელისა (X ს.) და თეოფილე ხუცეს-მონაზონის (XI ს.) მიერ ნათარგმნ ზოსიმეს „სწავლა ს“ ლექსიკაში ნათლად ჩანს ეფთვიმესა და თეოფილეს განსხვავებული დამოკიდებულება ბერძნული ტექსტისადმი და მათი მთარგმნელობითი მეთოდის თავისებურებანი.

1087. ბეთხოშვილი დ. „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის რელიგიური მსოფლმხედველობა // თსუ მესხეთის ფილიალის შრომები: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სერია. - 2006. - ტ. 1. - გვ. 17-30. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.



მკვლევარ-რუსთველოლოგთა შეხედულებები შოთა რუსთაველის რელიგიური მრწამსის შესახებ.

1088. ბეთხოშივილი დ. „ვეფხისტყაოსნის“ ეპილოგის პრობლემა კორნელი კეკელიძის შრომებში // კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა. - 2005. - №8. - გვ. 108-115; რეზ. ინგლ. ენაზე.

1089. ბეთხოშივილი დ. კორნელი კეკელიძის შეხედულებანი ქალის კულტის შესახებ „ვეფხისტყაოსანში“ // კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა. - 2004. - №7. - გვ. 125-136; რეზ. ინგლ. ენაზე.

1090. ბეჟანიშვილი მ. არჩილის „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“: (ერთი სტროფის ტექსტოლოგიური ანალიზი) // კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა. - 2005. - №8. - გვ. 86-93. რეზ. ინგლ. ენაზე.

1091. ბერიძე ა. „ვეფხისტყაოსანი,, სომხურ სამეცნიერო ლიტერატურაში // თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი: პრობლემა. - 2005. - №5(17). - გვ. 134-137. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

„ვეფხისტყაოსნის“ სომეხი მთარგმნელები: სტეფან ბასტამიანი, ჰარუთუნ მირიმიანიანი, გევორქ ასატური, ვაჰან ტერიანი, ჰოვანეს კარაიანი და სომეხ მეცნიერთა გამოკვლევები პოემის შესახებ.

1092. ბიბილეიშვილი ი. აბუსერისძე ტბელი – მრავალმხრივი მოღვაწე // ლიტერატურული აჭარა. - 2003. - №10. - გვ. 81-88. XIII ს-ის მწერლისა და ასტრონომის სახე თანამედროვე ქართულ მწერლობაში.

1093. ბიგანიშვილი თ. ჰიმნოგრაფი ავტორისა და მლოცველის ეგოს იდენტიფიკაცია სასულიერო პოეზიაში // კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა. - 2006. - №10. - გვ. 8-22. რეზ. ინგლ. ენაზე.

მლოცველის ღვთისმსახურებაში ჩართვისა და თვითანალიზის პროცესის აქტუალიზება სასულიერო პოეზიის მიერ.

1094. გაბიძაშვილი ე. IX საუკუნის უცნობი ქართველი მთარგმნელის ერთი ინიციატივის გამო // მრავალთავი: ფილოლოგიურ-

ისტორიული ძიებანი. - 2003. - ტ. 20. - გვ. 60-67. რეზ. ფრანგ. ენაზე.

„იოვანე ოქროპირის ცხოვრების“ ბერძნულიდან ქართულად მთარგმნელის მიერ ერთი ეპიზოდის უცვლელად ჩართვა „იპოვანე კვიპრელის ცხოვრების“ ქართულად ადრე გადმოღებული ტექსტიდან.

1095. გაბრიელაშვილი ღ. ცხოველთა პარადიგმული სახე-სიმბოლოები ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველ რედაქციებში // კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა. - 2005. - №8. - გვ. 35-41. რეზ. ინგლ. ენაზე.

„ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების წიგნთა ძველ რედაქციებში“ არსებული ცხოველთა (ირემი, მგელი, დათვი, სახედარი, გველი) მრავალფეროვანი სიმბოლიკა განხილულია ქრისტიანული სიმბოლიკისა და ასევე სხვადასხვა ხალხთა მითოლოგიური სისტემის ნიადაგზე.

1096. გაფრინდაშვილი ქ. მიქელ პარუხელი გრიგოლ ხანძთელისა და სერაპიონ ზარზმელის „ცხოვრებათა“ მიხედვით // კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა. - 2005. - №8. - გვ. 42-47. რეზ. ინგლ. ენაზე.

ასურელ მამათა ტრადიციების გამგრძელებელი მეუღაბნოეს მოღვაწეობა.

1097. გაფრინდაშვილი ქ. „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების არქიტექტონიკა“ // კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა. - 2005. - №9. - გვ. 23-27. რეზ. ინგლ. ენაზე.

VIII-IX სს-ის სამცხე-ჯავახეთის სამონასტრო ცხოვრება-ადმ-შენებლობის ასახვა ბასილი ზარზმელის თხზულებაში.

1098. გვარამია რ. ისევ „ანტონ რავახის ავტობიოგრაფიის“ შესახებ / რუსუდან გვარამია, მანანა დვალი // მრავალთავი: ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი. - 2003. - ტ. 20. - გვ. 45-52. რეზ. რუს. ენაზე.

ავტობიოგრაფიის სახით დაწერილი „ანტონ რავახის წამების“ არაბული და ქართული ვერსიების შეჯერება.

1099. გვარამია რ. ძველი ქართული და ქრისტიანული არაბული ლიტერატურული ურთიერთობების ისტორიიდან // მრავალთავი: ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი. - 2003. - ტ. 20. - გვ. 16-24. რეზ. ინგლ. ენაზე.

პალესტინურ-სინურ რეგიონში მოღვაწე ქართველ მწიგნობართა მიერ IX-X სს.-ში არაბულიდან ქართულად თარგმნილი საეკლესიო წიგნებისა და მთარგმნელების – სტეფანე სანანო სძისა და დავით ტბელის მოღვაწეობის შესახებ.

1100. გოგიაშვილი ე. ტექსტობრივი შეხვედრები „ამირანდარეჯანიანსა“ და „ვეფხისტყაოსანში“ // მრავალთავი: ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი. - 2003. - ტ. 20. - გვ. 193-210. რეზ. ფრანგ. ენაზე.

კლასიკური პერიოდის საერო ძეგლების – „ამირანდარეჯანიანსა“ და „ვეფხისტყაოსნის“ ურთიერთმიმართების საკითხი და ტექსტობრივი პარალელების ანალიზი.

1101. გოგუაძე ნ. პავლე მოციქულის პორტრეტი „თეკლას წამების“ მიხედვით // მრავალთავი: ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი. - 2003. - ტ. 20. - გვ. 25-27. რეზ. რუს. ენაზე.

ავტორის აზრით, „თეკლას წამებაში“ მოცემული პავლე მოციქულის პორტრეტი უჩვეულოა ჰაგიოგრაფიული ჟანრის ნაწარმოებისათვის, რადგან მისი გარეგნობა, უმეტესად, უარყოფითი ეპითეტებითაა წარმოდგენილი (დაბალი, ცხვირმოღუნული, მგლოტი და ა.შ.), რაც ვერ თავსდება ჰაგიოგრაფიულ მწერლობაში დამკვიდრებული ესთეტიკურ-მხატვრული კანონზომიერების ფარგლებში.

1102. გრიგალაშვილი ი. ლიტურგიული ცნობიერების ასახვა იოვანე საბანიძის „ჰაბოს წამებაში“ // კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა. - 2004. - №7. - გვ. 53-61. რეზ. ინგლ. ენაზე.

მეცნიერთა ერთი ნაწილის მიერ იოვანე საბანიძის სასულიერო პირად მიჩნევა „ჰაბოს წამებაში“ ლიტურგიული ცნობიერებისა და ღვთისმსახურების დეტალების მთელი სისრულით წარმოჩენის საფუძველზე.

1103. გრძელიშვილი ქ. დავით წინასწარმეტყველის მხატვრული სახისათვის „ქართლის ჭირის“ სტრუქტურაში // ინტელექტი. - 2003. - №1(15). - გვ. 109-112. რეზ. ქართ., რუს. და ინგლ. ენებზე.

საუბარია დავით წინასწარმეტყველის, იესო ქრისტეს, ვახტანგ მეექვსისა და „ქართლის ჭირის“ ავტორის – დავით გურამიშვილის მხატვრულ სახეთა ურთიერთმიმართებაზე ნაწარმოების სტრუქტურის გათვალისწინებით.

1104. გრძელიშვილი ქ. ძველი ალექსის პერსონაჟები დავით გურამიშვილის „ქართლის ჭირში“ // თსუ მესხეთის ფილიალის შრომები: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სერია. - 2006. - ტ. 1. - გვ. 3-16. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

დავით წინასწარმეტყველის, აბრაამის, ისააკის, სარას, ევას, ადამისა და სხვათა პარადიგმული სახეები დ. გურამიშვილის პოემაში.

1105. გრძელიშვილი ქ. „წმ. გობრონის წამება“ – ისტორიული ფაქტი და მისი ლიტერატურული ინტერპრეტაცია // თსუ მესხეთის ფილიალის შრომები: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სერია. - 2006. - ტ. 1. - გვ. 205-211. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

914-918 წლებში დაწერილი სტეფანე მტბევარის აგიოგრაფიული ნაწარმოები „წმინდა მიქელ-გობრონის წამება“ – ისტორიული ფაქტის მხატვრული განზოგადების მაგალითი.

1106. დგვევაძე ე. ასმათის სახე „ვეფხისტყაოსანში“ // კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა. - 2006. - №10. - გვ. 34-40. რეზ. ინგლ. ენაზე.

შოთა რუსთაველის პოემის ერთ-ერთი ცენტრალური პერსონაჟის თვისებები, ბუნება, ხასიათის თავისებურებანი და მსოფლმხედველობა.

1107. დგვევაძე ე. ეგრეთ წოდებული სამიჯნურო ეპიზოდებისათვის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ // კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა. - 2004. - №7. - გვ. 68-72. რეზ. ინგლ. ენაზე.

1108. დგვევაძე ე. ნესტანის წერილები // კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა. - 2005. - №8. - გვ. 81-85. რეზ. ინგლ. ენაზე.

„ვეფხისტყაოსნის“ გმირის – ნესტანის სულიერი ღირსებების წარმონეწა ტარიელისადმი მიწერილ წერილში.

1109. დგვევაძე ე. ჰაგიოგრაფიული პარადიგმები „შუშანიკის მარტვილობის“ მიხედვით // კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა. - 2005. - №9. - გვ. 3-12. რეზ. ინგლ. ენაზე.

სიკეთისა და ბოროტების გამოხატვის სიმბოლური საშუალებები ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებში იაკობ ცურტაველის თხზულების მიხედვით.

1110. დობორჯგინიძე ნ. „ქება ს“ საერთო-აღმოსავლური ფონი // ბურჯი ეროვნებისა. - 2003. - №7-8. - გვ. 5-8.

აღწერილია ის საერთო-აღმოსავლური კონტექსტი, რომელშიც იოანე ზოსიმეს „ქება და დიდება ქართულისა ენისაი“ უნდა შექმნილიყო.

1111. დუმბაძე ნ. „ტბელობის“ ოცდახუთი წლისთავისათვის: დიდი წინაპრის ღვაწლის უკვდავსაყოფად // ლიტერატურული აჭარა. - 2004. - №4-8. - გვ. 98-102.

მწერლისა და მეცნიერის ტბელ აბუსერიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი სახალხო დღესასწაული აჭარაში.

1112. ელაშვილი ქ. ნათლის სახარებისეული სიმბოლიკა ქართულ ჰაგიოგრაფიაში // კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა. - №7. - გვ. 37-40. რეზ. ინგლ. ენაზე.

უერთამეტყველება ქართულ ჰაგიოგრაფიულ ძეგლებში.

1113. ელიავა ლ. თეოლოგიური საკითხები რუსთაველთან // თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი: პრომეთე. - 2005. - №6(18). - გვ. 311-313. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

მაჰმადიანურ-აღმოსავლურისა და ქრისტიანულ-დასავლური მსოფლმხედველობის შერწყმა „ვეფხისტყაოსანში“.

1114. ზარიძე ხ. ილუსტრაციული „ვეფხისტყაოსანი“ // ბურჯი ეროვნებისა. - 2004. - №4-6. - გვ. 15-20.

მხატვრების – ლ. გუდიაშვილის, ს. ქობულაძის, თ. აბაკელიას, მ. ზინის,

ი. თოიძის, ნ. იანქოშვილის, უ. ჯაფარიძის, ლ. ცუცქირიძის და რ. ფეტვიაშვილის ილუსტრაციების მიმოხილვა.

1115. თავართქილაძე ვ. „ვეფხისტყაოსნისა“ და „პერსევადის“ მხატვრული პარალელები // ბურჯი ეროვნებისა. - 2005. - №1-3. - გვ. 17-18.

XI-XII სს.-ში შექმნილი საგმირო-სარაინდო უანრის ორი ნაწარმოების – ქართული „ვეფხისტყაოსნისა“ და ფრანგული „პერსევადის“ შედარებითი დახასიათება.

1116. თოდუა კ. რეალიზმი აღორძინების ხანის (XVI-XVIII სს.) ქართულ ლიტერატურაში // აფხაზეთის მოამბე. - 2004. - №8. - გვ. 115-121. რეზ. ქართ. და ინგლ. ენებზე.

„მართლის თქმის“ პრინციპის დამკვიდრება აღორძინების ეპოქის ქართულ ლიტერატურაში: თეიმურაზ I, არჩილი, სულხან-საბა ორბელიანი, დავით გურამიშვილი და სხვ.

1117. კობიაშვილი ნ. „ბედი ღმრთისაგან მიჯობსდა ამას რომელი“ // კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა. - 2005. - №8. - გვ. 77-80. რეზ. ინგლ. ენაზე.

ფრიდონის დამოკიდებულება ბედისადმი „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით.

1118. კობიაშვილი ნ. „ვით ზღაპარი, ასრე ესმის უბედობა, თუნდა ბედი“ // კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა. - 2004. - №7. - გვ. 137-144. რეზ. ინგლ. ენაზე.

ბედი და ბედისწერა ქართველთა რწმენა-წარმოდგენაში და მისი ადგილი „ვეფხისტყაოსანში“.

1119. კუჭუხიძე გ. „წმიდა ჰაბოს წამების“ ტექსტისათვის // კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა. - 2006. - №10. - გვ. 3-7. რეზ. ინგლ. ენაზე.

იოანე საბანისძის „წმიდა ჰაბოს წამების“ ხელნაწერთა ტექსტების შედარებისა და ზოგიერთი ცვლილებების შეტანის შესახებ.

1120. ლობჯანიძე ს. სარაინდო აღზრდა – შუასაუკუნეობრივი აღზრდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი // საზრისი. - 2003. - №10. - გვ. 147-153. რეზ. ქართ., რუს. და ინგლ. ენებზე.

რაინდობის ინსტიტუტი XI-XII სს.-ის საქართველოში შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ მაგალითზე.

1121. ლომიძე გრ. ვროპული ორიენტაციის პრობლემა საქართველოში XVIII ს. I ნახევარში: (სულხან-საბა ორბელიანის ევროპული ვოიაჟი და მისი შედეგები) // თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი: პრობლემა. - 2005. - №5(17). - გვ. 162-166. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

1122. ლორთქიფანიძე ა. რუსთაველი – კოპერნიკისა და ნიუტონის წინამორბედი // ლიტერატურული აჭარა. - 2003. - №5. - გვ. 90-94; №6. - გვ. 87-90; №7. - გვ. 113-116.

შოთა რუსთაველის ასტროლოგიურ-ასტრონომიული მსოფლმხედველობა.

1123. მაზმიშვილი ნ. „ზღუდე ქრისტეანეთა“ // კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა. - 2004. - №7. - გვ. 73-86. რეზ. ინგლ. ენაზე.

მეფე-პერსონაჟის – აშოტ კურაპალატის მხატვრული სახე გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“.

1124. მამაცაშვილი მ. „ვეფხისტყაოსნის“ ერთი ადგილის გასწორებისათვის // მრავალთავი: ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი. - 2003. - ტ. 20. - გვ. 189-192. რეზ. რუს. ენაზე.

ნაშრომი წარმოადგენს პოემის ტექსტის ყველა გამოცემაში დამოწმებულ სიტყვა „გასაღდეს“ სწორი ფორმისა და მნიშვნელობის დადგენის ცდას.

1125. მაჩაბლიშვილი ლ. „მოქცევა ქართლისა ს“ რიტმულობისათვის // ბურჯი ეროვნებისა. - 2004. - №10-12. - გვ. 28-30.

„მოქცევა ქართლისა ს“ შატბერდულ-ჭელიშური რედაქციის ანალიზი ძველი ქართული პროზის რიტმულობის გამოსავლენად.

1126. მეტრეველი საბა-ფირუზ. „წმიდა ევსტათი მცხეთელის მარტვილობის“ პრობლემატიკა // კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა. - 2005. - №8. - გვ. 21-34. რეზ. ინგლ. ენაზე.

ანონიმი ავიოგრაფის „მარტვილობა ევსტათი მცხეთელისა ს“ მხატვრულ-ესთეტიკური და რელიგიურ-დოგმატიკური ასპექტები.

1127. მოსია ტ. დავით გურამიშვილის იდეოლოგიური აზროვნების ერთი ასპექტისათვის // კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა. - 2005. - №9. - გვ. 71-76. რეზ. ინგლ. ენაზე.

იზოთეიზმის იდეის, ქართველი ბაგრატიონების ბიბლიური დავით წინასწარმეტყველის ხორციელ შთამომავლებად (ნათესავებად) აღიარების სიმბოლურ-აღეგორიული ასახვა დ. გურამიშვილის „დავითიანსა“ და ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლებში.

1128. ნაფეტვარიძე თ. „ვეფხისტყაოსნის“ ეპილოგის ავთენტიკურობისათვის // ტიპოლოგიური ძიებანი. - 2005. - ტ. 5. - გვ. 154-161. რეზ. ინგლ. ენაზე.

პ. ინგოროყვას, რ. ფირცხალაიშვილის, კ. კეკელიძის მოსაზრებანი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

1129. ნაჭყებია მ. ქრისტეს ვნებათა მისტერია დავით გურამიშვილთან და ბაროკოს ესთეტიკა // კლასიკური და თანამედროვე

ქართული მწერლობა. – 2005. - №8. – გვ. 94-107. რეზ. ინგლ. ენაზე.  
ბაროკოს წარმონეხა დ. გურამიშვილის შემოქმედებაში, განსაკუთრებით რელიგიურ პოეზიაში.

1130. პატარაია თ. „ხელთა ნაჭედი მათრახი“ // კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა. - 2005. - №9. - გვ. 59-70. რეზ. ინგლ. ენაზე.

ტერმინ „მათრახის“ მნიშვნელობის განმარტება და ამ სიტყვის მხატვრული ფუნქცია „ვეფხისტყაოსანსა“ და ქართულ ფოლკლორში.

1131. პოპიაშვილი ნ. იგავ-არაკში ასახული რეალობა // ენა, თარგმანი, ლიტერატურა. - 2003. - კრ. 9. - გვ. 149-155. რეზ. გერმ. ენაზე.

ავტორის აზრით, ს.ს. ორბელიანის თხზულებაში – „სიბრძნე სიცრუისა“ – იგავ-არაკები გმირების მიერ რეალობად აღიქმება, თუმცა, შესაძლოა, მონათხრობი ამბავი ნაზღაპრი და ფანტასტიკური იყოს.

1132. როგავა თ. თეიმურაზ მეორის „სარკე თქმულთას“ ბიბლიური წყაროს ზოგიერთი ასპექტისათვის // კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა. - 2006. - №10. - გვ. 41-49. რეზ. ინგლ. ენაზე.

სადვთო ისტორიის სიუჟეტებისა და იგავების, ბიბლიური ეპიზოდების სიმბოლურ-აღვებორიული გააზრება და ინტერპრეტირება თეიმურაზ მეორის პოემაში „დღისა და ღამის გაბაასება“.

1133. სურმანიძე ო. აბუსერისძე ტბელის ასტრონომიული ნააზრევი // ლიტერატურული აჭარა. - 2003. - №10. - გვ. 89-94.

ტბელი აბუსერისძის (XIII ს.) ტრაქტატის – „ქორონიკონი სრული მისთა საუწყებელითა და განგებითა“ – განხილვა.

1134. ტრაპაიძე ქ. მეორეული ფუნქციის პერსონაჟები ქართულ ჰაგიოგრაფიაში (V-XI სს.) // კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა. - 2004. - №7. - გვ. 41-52. რეზ. ინგლ. ენაზე.

ჰაგიოგრაფების მიერ იდეალურ გმირთან ერთად ჩვეულებრივი პერსონაჟების წარმონეხა და მათი მეშვეობით ღვთაებრივთან ერთად მიწიერი, ამქვეყნიური ადამიანის რეალური სურათის შექმნა („გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, „გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება“, „შუშანიკის წამება“ და სხვ.).



1135. უჯმაჯურიძე მ. ელგიური მოტივი დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანში“ // კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა. - 2005. - №8. - გვ. 65-72. რეზ. ინგლ. ენაზე.

1136. ფუტყარაძე ი. „ვეფხისტყაოსნის“ თურქული თარგმანის შესახებ // ლიტერატურული აჭარა. - 2003. - №6. - გვ. 91-95.

სამსუნის უნივერსიტეტის პროფესორ ბილალ დინდარის მიერ წარმატებით შესრულებული თარგმანი.

1137. ქაზუმოვი ო. იოანე ნათლისმცემლის ქადაგებები სულხან-საბა ორბელიანის „სწავლანში“ // ბურჯი ეროვნებისა. - 2004. - №4-6. - გვ. 23-24.

იოანე ნათლისმცემლის სამი ქადაგება – „სწავლა ნათლისმცემლის შობისათვის“, „სწავლა სიმთრვალისათვის და ნათლისმცემლის თავის კვეთისათვის“, „სწავლა თავის პოვნისათვის ნათლისმცემლისა, უკეთუ თევდორობა იყოს“ სულხან-საბას ნაწარმოებში.

1138. ქურდაძე პ. ადამიანის თავისუფალი ნებისა და ღვთის ურთიერთმიმართების როლი პიროვნების ფორმირებაში შ. რუსთაველის აფორიზმების მიხედვით // ინტელექტი. - 2003. - №1(15). - გვ. 189-192. რეზ. ქართ., რუს. და ინგლ. ენებზე.

„ვეფხისტყაოსნის“ აფორიზმების: „სად მინდა ვიყო, რა მგამა, ყოფაცა მქონდეს ნებისა“ და „რაცა ღმერთსა არა სწადდეს, არა საქმე არ იქნების“ – როლი თავისუფალი ნების პიროვნების ფორმირებაში.

1139. ღაღუა ი. აბოსადმი მიძღვნილი საგალობლები და მათი მიმართება იოანე საბანისძის ჰაგიოგრაფიულ თხზულებასთან // კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა. - 2004. - №7. - გვ. 62-67. რეზ. ინგლ. ენაზე.

აბო თბილელის ცხოვრებისა და მარტვილობის ამსახველი მომენტები აბოსადმი მიძღვნილ საგალობლებში (მიქაელ მოდრეკელი, იოვანე ქონქოზისძე, სტეფანე ხანანოს ძე ჭყონდიდელი).

1140. ღაღუა ი. ჰაგიოგრაფიისა და ჰიმნოგრაფიის თემატური სახისმეტყველებითი ურთიერთმიმართებისათვის: (წმ. კონსტანტი კახისადმი მიძღვნილ თხზულებათა მიხედვით) // კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა. - 2005. - №8. - გვ. 48-52. რეზ. ინგლ. ენაზე.

ნაშრომში განხილულია კონსტანტი კახისადმი მიძღვნილი ორი ნაწარმოები: 1. უცნობი ავტორის პაგიოგრაფიული თხზულება „ცხოვრება და წამება წმიდისა მოწამისა კონსტანტი ქართველისა , რომელი იწამა ბაბილონელთა მეფისა ჯაფარის მიერ“; 2. მიქაელ მოდრეკილის კრებულში მოთავსებული საგალობელი „თოუესა ნოემბერსა: კბ: წმიდისა მოწამისა კონსტანტი კახა სა ქართველთა მოწამისა“.

1141. დლონტი ს. ზვიად გამსახურდიას „ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველებაში“ პერსონაჟთა სახელების ალეგორიულობის საკითხი // ინტელექტი. - 2004. - №1(18). - გვ. 77-79. რეზ. ქართ., რუს. და ინგლ. ენებზე.

„ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟთა ეთნონიმების გლობალური, ფილოსოფიურ-რელიგიური ინტერპრეტაცია ზ. გამსახურდიას მონოგრაფიის მიხედვით.

1142. დონდაძე ნ. სახისმეტყველების ზოგიერთი ასპექტისათვის იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამებაში“ // ბურჯი ეროვნებისა. - 2003. - №7-8. - გვ. 28-29.

მოსაზრებები ტექსტში „მატლის დასხმისა“ და ქრისტიანულ რელიგიაში სამოსის პალეოარტის, ანუ პორფირის სიმბოლური დანიშნულების შესახებ.

1143. ჩაგუნავა რ. „აბო ტფილელის მარტვილობის“ განსხვავებული თარიღების წარმომავლობის საკითხისათვის // მრავალთავი: ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი. - 2003. - ტ. 20. - გვ. 75-80. რეზ. ინგლ. ენაზე.

„აბო ტფილელის მარტვილობის“ ხელნაწერებში აბოს წამების თარიღისა და სხვა თარიღების განსხვავებული მახვენებლების მიზეზი, რაც, ავტორის აზრით, ძირითად ტექსტში „ქრისტეს ვნებისა“ და „ქრისტეს შობის“ ურთიერთშენაცვლებით უნდა ყოფილიყო განპირობებული.

1144. ჩიკვაიძე ე. ტერმინოლოგიური საკითხები „წმიდა ბარბარეს წამების“ A და B რედაქციებში // კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა. - 2004. - №7. - გვ. 87-106. რეზ. ინგლ. ენაზე.

„წმიდა ბარბარეს წამების“ სტრუქტურულ-ტექსტოლოგიური და ენობრივი ანალიზი. „წმიდა ბარბარეს წამების“ ერთი რედაქციის იოანე პეტრიწისათვის, ხოლო მეორესი – არსენ ივალთოელისათვის მიკუთვნება.

1145. ჩხაიძე გ. რატომ განუდგა წმიდა შუშანიკი ქმარს // ბურჯი ეროვნებისა. - 2003. - №1-2 (62). - გვ. 13-16.

პავლე მოციქულის ეპისტოლე და წმ. თეოფანე დაყუდებული ქრისტიანობაში ოჯახის სიმტკიცისა და ცოლქმრული ურთიერთ-მოვალეობის შესახებ შუშანიკისა და ვარსკენის მაგალითზე.

1146. წერეთელი ლ. „ბუნებით ღმერთი“ და „მაღლით ღმერთქმნილი“ // ამირანი. - 2006. - ტ. 14-15. - გვ. 123-126. რეზ. ინგლ. ენაზე.

დავით აღმაშენებლის უცნობი ისტორიკოსის თხზულება „ცხოვრება მეფეთა-მეფისა დავითისი“ – მხატვრული ანალიზი.

1147. ხალვაში ა. მემედ აბაშიძე „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ // ლიტერატურული აჭარა. - 2003. - №5. - გვ. 82-89.

სტატია ეხება XX ს-ის დასაწყისის ქართული პერიოდიკის ფურცლებზე გამოქვეყნებულ წერილებს (ივანე ჯავახიშვილი, პეტრე მირიანაშვილი) პოემის პერსონაჟთა რელიგიურობის შესახებ.

1148. ხალვაში რ. ტბელ აბუსერისძის უცნობი ჰიმნოგრაფიული კანონი – „გალობანი წმიდისა ღმრთისმშობლისანი“ // ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სერია. - 2005. - კრ. 7. - გვ. 190-198. რეზ. რუს. ენაზე.

1233 წლით დათარიღებული ტბელ აბუსერისძის კრებულის შემადგენელი ნაწილების დახასიათება და განხილვა.

1149. ხალვაში რ. ტბელ ივანეს ძე აბუსერისძე / რამაზ ხალვაში, ირმა მაკარაძე // ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სერია. - 2005. - კრ. 7. - გვ. 216-221. რეზ. რუს. ენაზე.

ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებები ტბელ აბუსერისძის ვინაობის შესახებ.

1150. ხითარიშვილი ქ. აპოკალიფსური „წიგნი დაბეჭდული“ და „წმინდა ნინოს ცხოვრების“ „ათი სიტყვა“ // კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა. - 2004. - №7. - გვ. 33-36. რეზ. ინგლ. ენაზე.

მაცხოვრის მოლოდინისა და საყოველთაო სამსჯავროს მოაზრება „წმინდა ნინოს ცხოვრებაში“.

1151. ხუციშვილი ნ. მოყვასის სიყვარული და ვეფხისტყაოსნის მოყვრობა: (წინათქმა) // კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა. - 2004. - №7. - გვ. 145-153. რეზ. ინგლ. ენაზე.

მეგობრობა „ვეფხისტყაოსანში“ და ელგუჯა ხინთიბიძის მიერ რუსთველური მეგობრობის კონცეფციის შეფასება.

1152. ჯავახაძე ი. „წამებათა“ ქანრის ქართულ აგიოგრაფიულ თხზულებათა სიუჟეტურ-კომპოზიციური ურთიერთმიმართებისათვის // კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა. - 2005. - №9. - გვ. 13-22. რეზ. ინგლ. ენაზე.

აგიოგრაფიული თხრობის კომპოზიციური შაბლონის დადგენა „წამებათა“ ქანრის ძეგლების ურთიერთშედარებით.

1153. ჯოჯუა თ. აღდგომას მოწვევდილ გარეჯელ მამათა „მარტვილობის“ მიხეილ საბინინის უცნობი რუსული რედაქცია // საქართველოს სიძველენი. - 2006. - ტ. 9. - გვ. 173-204. რეზ. ინგლ. ენაზე.

საზოგადო მოღვაწისა და არქეოგრაფის მიხეილ საბინინის ჰაგიოგრაფიულ კრებულში (“Полное жизнеописание святых Грузинской церкви”) წარმოდგენილი ძველი ქართული ლიტერატურის ნაკლებად ცნობილი თხზულების ტექსტის ანალიზი.

## XIX საუკუნე

1154. აკაკის კრებული / [სარედ. კოლ.: ი. ვეგენიძე (მთ. რედ.) და სხვ.] კრ. 2. - თბ., 2005. - 690 გვ.

კრებულში შესულია აკაკის უცნობი ნაწერები და მივიწყებული პუბლიკაციები; მისდამი მიძღვნილი ქართველ და უცხოელ მწერალთა წერილები.

1155. ბარამიძე ლ. სოფრომ მგალობლიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა. - თბ., 2005. - 27 გვ.

ხალხოსანი მწერლის ბიოგრაფია და ლიტერატურული საქმიანობა.

1156. გრიგოლ ორბელიანი ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში (1860-1899) / გამოსაც. მოამზ., შესავალი და შენიშვნ., დაურთო ნ. მესხიამ. [რედ.: თ. კიკაჩიშვილი]. - თბ., 2005. - 395 გვ.

1157. ზარდიაშვილი ე. აკაკის უცნობი ნაწერები. - თბ., 2005. - 115 გვ.  
პირად არქივებში მოკვლეული ა. წერეთლის ეროვნულ-პატრიოტული და მწვავე პოლიტიკური ხასიათის უცნობი თხზულებები და ავტოგრაფები.

1158. ზარდიაშვილი ე. ამბავი ორი სევედიანი სიყვარულისა: აკაკის ტრაგიკული სიყვარულის ამბავი. ალექსანდრე ყაზბეგის საბედისწერო სიყვარულის ისტორია. - თბ., 2005. - 142 გვ.

ა. წერეთლისა და ალ. ყაზბეგის პირადი ცხოვრების გაუმჯობესებული ფაქტები. მე-19 ს-ის საზოგადოებრივი ცხოვრების დეტალები და განო მანახლის გაუჩინარების ვერსიები.

1159. კვარაცხელია მ. საქართველოს ისტორიული წარსული ქართველ სამოციანელთა საბავშვო ნაწარმოებებში. - თბ., 2005. - 126 გვ.

ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და იაკობ გოგებაშვილის დვაწლი საბავშვო ლიტერატურის განვითარებაში; მწერალთა ისტორიულ თემაზე შექმნილი მხატვრული ნაწარმოებების ანალიზი.

1160. ლომთაძე ნ. დუტუ მეგრელი: (ცხოვრება და შემოქმედება). - თბ., 2005. - 127 გვ.

პოეტის, დრამატურგისა და პუბლიცისტის დუტუ მეგრელის (დომიტრი ხოშტარიას) ცხოვრება და შემოქმედება.

1161. ნინიძე მ. მხატვრულ სახეთა სისტემა და რელიგიური დისკურსი „ოთარაანთ ქვრივში“. - თბ., 2005. - 128 გვ.

ილია ჭავჭავაძის ქრისტიანული ცნობიერება, მრწამსი, ლიტერატურულ-ესთეტიკური პრინციპები და მსოფლმხედველობრივი პრობლემები.

1162. ფრუიძე ნ. აკაკი წერეთლის თხზულებათა მხატვრული სპეციფიკისა და შემოქმედებითი ისტორიის საკითხები. - თბ., 2005. - 191 გვ.

კრებულში შეტანილია ავტორის მიერ ბოლო წლებში შექმნილი ნაშრომები აკაკის შემოქმედების მხატვრულ მხარეზე.

1163. ქალი – სახე და პრობლემა: [ორტომეული / პროექტის ავტორი ნ. გელაშვილი; რედ.: შ. იათაშვილი]. ტ. 1. ანთოლოგია. - თბ., 2005. - 455 გვ.

ქალის სახე, მისი პრობლემები და თავისებურებები ილია ჭავჭავაძის, ალექსანდრე ყაზბეგის, ვაჟა-ფშაველას, ეკატერინე გაბაშვილის, დავით კლდიაშვილის, შიო არაგვისპირელის, ნინო ნაკაშიძისა და სხვ. ნაწარმოებებში. ქართული მწერლობის ნიმუშების გაანალიზება გენდერული კუთხით.

1164. ქაჯაია მ. ლიტერატურული ნარკვევები და წერილები. - თბ., 2005. - 219 გვ.

ავტორი გვაცნობს რომანოზ ფანცხავას (ხომღელი) პეტროგრადში დასტამბულ წიგნს “Памяти Акакия Церетели”, ი. ჭავჭავაძის პოემათა სტილურ თავისებურებებს, გრ. ორბელიანის, ა. წერეთლის, ნ. ნიკოლაძის, ა. ფურცველაძისა და სხვათა მიერ დანახულ გიორგი წერეთლის შემოქმედებით მემკვიდრეობასა და მე-19 ს-ის დასასრულის ქართულ ლიტერატურულ კრიტიკას.

1165. შარაბიძე თ. ქრისტიანული მოტივები ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში. - თბ., 2005. - 271 გვ.

ცოდვა-მადლის საკითხი, ქრისტიანული სიყვარული, სინანულის მოტივი, წუთისოფლის გაგება და „ამირანის“ მითი ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში.

1166. შენგელია მ. ვაჟა-ფშაველას ერთი პოემა. - თბ., 2005. - 142 გვ.  
ვაჟა-ფშაველას პოემა „გველისმჭამელის“ ანალიზი.

1167. აბულაძე რ. „ცხრა-წვენა“ // კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა. - 2006. - №10. - გვ. 107-113. რეზ. ინგლ. ენაზე.

გაზეთ „ივერიაში“ დ. მანხანელის (დემიტრი ნადირაძე) „ცხრა-წვენას“ სახელწოდებით დაბეჭდილი ფელეტონების აქტუალური თემატიკისა და მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების მრავალფეროვნების შესახებ.

1168. ბარბაქაძე-ახალაძე ი. ერეკლე მეორის სახე რომანტიკოსთა შემოქმედებაში // თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი: პრობლემა. - 2004. - №4(16). - გვ. 107-112. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

ერეკლე მეორის, ქრისტიანი პატრიოტი მეფის სახე გრ. ორბელიანის, ალ. ჭავჭავაძის, ნ. ბარათაშვილისა და ვ. ორბელიანის პოეზიაში.

1169. ბეზარაშვილი ლ. „ლექსი ვეფხისა და მოყმისა“ და „აღუდა ქეთელაური“ // თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი: პრომეთე. - 2005. - №6(18). - გვ. 211-214. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

ხალხური ბალადისა და ვაჟას პოემის იდეური მსგავსება.

1170. ბიბილეიშვილი ი. ერთხელ კიდეც გრ. ორბელიანის „სადღეგრძელოს“ შესახებ // ლიტერატურული აჭარა. - 2003. - №3-4. - გვ. 73-78.

იმპერატორ ნიკოლოზ I-ისადმი მიძღვნილი სადღეგრძელოს ანალიზი პოემიდან „სადღეგრძელო, ანუ ომის შემდგომ ღხინი ერეკნის სიახლოვეს“.

1171. გოგოლიშვილი ო. ილია და აჭარა // ივერია: ქართულ-ევროპული ინსტიტუტი. - 2004-2005. - ტ. 12-13. - გვ. 61-89.

აჭარის ისტორიის მოკლე მიმოხილვა; 1878 წ.-ის ბერლინის შეთანხმებით აჭარის დიდი ნაწილის საქართველოსთვის დაბრუნება; ილია ჭავჭავაძის როლი ახლადშემოერთებული აჭარის პრობლემების მოგვარების საქმეში.

1172. დარჩია ლ. აკაკი ზუგდიდში // კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა. - 2005. - №8. - გვ. 148-155. რეზ. ინგლ. ენაზე.

აკაკის მოგზაურობა სამეგრელოში 1912 წ. მაისში.

1173. დარჩია ლ. კვლავ გრიგოლ ორბელიანის ცხოვრების ეპიზოდების შესახებ // კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა. - 2006. - №10. - გვ. 57-63. რეზ. ინგლ. ენაზე.

ონა მეუნარგიას დვაწლი გრ. ორბელიანის ცხოვრებისა და ეპისტოლური მემკვიდრეობის კვლევის საქმეში; სტატიაში განხილულია პოეტის ბარბარე ორბელიანისადმი მიწერილი ორი ნაკლებად ცნობილი კერძო წერილი.

1174. ვარაზაშვილი შ. ვაჟა-ფშაველას მცირე პიესების თავისებურება // კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა. - 2005. - №8. - გვ. 180-183. რეზ. ინგლ. ენაზე.

ვაჟას პიესების მნიშვნელობა მისი შემოქმედების სრულყოფილად შესწავლისა და XIX ს-ის II ნახევრის ქართული დრამატურგიის დასახასიათებლად.

1175. ვახანია ნ. მამულისთვის თავდადებულ ქალთა სახეები აღ. ორბელიანის შემოქმედებაში // კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა. - 2004. - №7. - გვ. 165-168. რეზ. ინგლ. ენაზე.

პატრიოტ ქალთა სახეები მოთხრობაში „უმანკო სისხლი“ და პიესებში: „დავით აღმაშენებელი“ და „ბატონიშვილი ირაკლის პირველი დრო ანუ თავდადება ქართველთა“.

1176. ზედგინიძე ე. ნიკოლოზ ბარათაშვილი და გალაკტიონ ტაბიძე: (სულიერი ნათესაობისათვის) // კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა. - 2005. - №9. - გვ. 135-139. რეზ. ინგლ. ენაზე.

1177. იანტბელიძე მ. ორი ქალის სახე ვაჟა-ფშაველას პოემებიდან // კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა. - 2005. - №8. - გვ. 156-167; რეზ. ინგლ. ენაზე.

1368. ზალიაშვილი ლ. გველეშაპთან ბრძოლის მოტივი ჯადოსნურ ზღაპარში // კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა. - 2005. - №8. - გვ. 3-12. რეზ. ინგლ. ენაზე.

1369. თავბერიძე შ. ეპითეტები ქართულ ხალხურ ფილოსოფიურ ლირიკაში // თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი: პრობლემა. - 2004. - №4(16). - გვ. 118-123. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

ეპითეტი „ჭრელი“ და ფერთა ეპითეტები ხალხურ ფილოსოფიურ ლექსებში.

1370. თავდგირიძე ხ. კუშტურის მთაწმინდა – ამქვეყნიური სამოთხის ხატი: (აჭარული მითოსი) // ხერთვისი. - 2005. - №1(ივნისი). - გვ. 22-23.

აჭარაში მდებარე საიდუმლოებით მოცული კუშტურის გამოქვაბული და ხალხური თქმულება მასზე.

1371. თიბილაშვილი ლ. შიო არაგვისპირელი – ხალხურ თამაშობათა შემკრები // კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა. - 2005. - №8. - გვ. 194-202. რეზ. ინგლ. ენაზე.

გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში დაცული შიო არაგვისპირელის მიერ შეკრებილი ქართული ხალხურ თამაშობათა ტექსტები („თავ-დავლა“, „ძერა-ძერა“, „ნათლიდგა“, „ყაჩაღები“, „თავი და კატა“, „კოჭლი ქორი“, „ლახტი“).

1372. იაშარი ქ. შავშეთ-იმერხევის ქართველთა ცხოვრების ქრონიკები // ხერთვისი. - 2005. - №1(ივნისი). - გვ. 20-21.

თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე საქართველოს ისტორიული მხარის შავშეთ-იმერხევის ქართველების საქმიანობა, ფოლკლორული შემოქმედება, კერძოდ, სამკურნალო შელოცვები.

1373. ივანიძე მ. სატრფიალო ლირიკა სამცხე-ჯავახეთში // თსუ მესხეთის ფილიალის შრომები: პუბლიცისტურ მემორიალთა სერია. - 2006. - ტ. 1. - გვ. 406-414. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

1374. ინწკირველი ე. „იობის წიგნის“ ფოლკლორული ვერსია // კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა. - 2004. - №7. - გვ. 3-7. რეზ. ინგლ. ენაზე.

ქართულ ზეპირსიტყვიერებაში არსებული „იობის წიგნის“ პროზაული და პოეტური ვარიანტების ანალიზი, რომლის მიხედვითაც იობის სახე უკავშირდება ადამს.

1375. მახარაშვილი გ. ნოეს კიდობნის ბინადრები: (აჭარული დიდი წარღვნის ლეგენდის მიხედვით) // ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები: პუბლიცისტურ მემორიალთა სერია. - 2005. - კრ. 7. - გვ. 232-234. რეზ. რუს. ენაზე.

ზემოაჭარული დიდი წარღვნის ლეგენდაში მოხსენიებული ცხოველებისა და ფრინველების მიერ გაწეული წვლილი ნოეს კიდობნის მშენებლობაში.

1376. მოსია ბ. განგებისა და ბედის საკითხი ღვთისმეტყველებასა და ხალხურ სიტყვიერებაში // კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა. - 2004. - №7. - გვ. 8-13. რეზ. ინგლ. ენაზე.

ტერმინ განგების კონცეფცია ქრისტიანულ ფილოსოფიასა (ბედის გაიგივება განგებასთან) და ქართულ ზეპირსიტყვიერებაში (განგების გაიგივება უფალთან).

1377. მოსია ბ. ერთიანი სამყაროს მოდელი ხალხურ სიტყვიერ მასალებში // წელიწადი: თსუ ზუგდიდის ფილიალი. - 2005. - ტ. 1. - გვ. 302-310. რეზ. ინგლ. ენაზე.

წარმოდგენები სამყაროს მითოსური სკენელების (ქვესკნელი, შუასკნელი, ზესკნელი) შესახებ და წუთისოფლის გააზრება ფოლკლორულ მასალებში.

1378. მოსია ბ. მეგრულ-ქართულ-ლაზური ზღაპრების შედარების სათვის // კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა. - 2006. - №10. - გვ. 277-281. რეზ. ინგლ. ენაზე.

ფოლკლორული მასალის შედარებითი შესწავლის მნიშვნელობა ქართული კულტურისა და ყოფის ისტორიის კვლევის საქმეში.

1379. ქურასბედიანი გ. ქრისტიანობა და ფოლკლორი / გულქან ქურასბედიანი, მამია ჩხირაძე // თსუ მესხეთის ფილიალის შრომები: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სერია. - 2006. - ტ. 1. - გვ. 423-428. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

განხილულია ფინურ-კარელიური ეპოსი „კალევალა“ და ფშავ-ხევსურული თქმულება პირველი ქადაგის შესახებ. ნაწარმოები შექმნილია სახარებისეული ისტორიის საფუძველზე და ადაპტირებულია ადგილობრივ ტრადიციებსა და წეს-ჩვეულებებთან.

1380. შაჰინი მ. მაჭახლური თქმანი // ხერთვისი. - 2005. - №1(ივნისი). - გვ. 16-19.

თურქეთში მცხოვრები ქართველის მურად შაჰინის მიერ შეგროვილი მაჭახლური ფოლკლორული მეტყველების ნიმუშები: ფრაზეოლოგიზმები, დაღოცვები, შეღოცვები.

1381. შიოშვილი თ. მეფე ერეკლეს ციკლის საისტორიო ლექსის – „ვერ გაიგეთა, ქართველნო“ – კომპოზიციის საკითხისათვის // ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სერია. - 2005. - კრ. 7. - გვ. 164-175. რეზ. რუს. ენაზე.

ზეპირსიტყვიერებაში ფართოდ გავრცელებული ლექსი – „რკინის კარის შესნა“, ანუ „ვერ გაიგეთა ქართველნო“ – მეფე

ერეკლეს გარდაცვალებასთან დაკავშირებული სამი სხვადასხვა სამგლოვიარო ლექსის კონტამინაცია [არევა].

1382. შიოშვილი თ. სასწაულებრივი განაყოფიერებისა და გადაგებული ყრმის მოტივი თამარ მეფის ციკლის ქართულ ფოლკლორში // ჭოროხი. - 2004. - №11-12. - გვ. 104-106.

1383. შიოშვილი თ. სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემისათვის ქართულ ხალხურ საზღაპრო ეპოსში // ლიტერატურული აჭარა. - 2003. - №7. - გვ. 109-112.

ზღაპრები: „უკვდავების მაძიებელი ჭაბუკი“, „ილანკულა“, თქმულება „ეთერიანი“.

1384. შიოშვილი თ. ქართული ფოლკლორის ზნეობრივი სამყარო. - ბათუმი, 2002. - 440 გვ.

რეც.: ქურდოვანიძე თეიმურაზ. ქართული ფოლკლორისტიკის ღირებული შენაძენი // ლიტერატურული აჭარა. - 2003. - №3-4. - გვ. 116-118.

1385. ჩოლოყაშვილი რ. ჯადოსნური საგნები ქართულ ჯადოსნურ ზღაპრებში: (ცხოველური წარმოშობისა) // ამირანი. - 2006. - ტ. 14-15. - გვ. 83-89. რეზ. ინგლ. ენაზე.

მთავარი გმირის ზიარება ჯადოსნური საგნების (ფასკუნჯის ფრთა, რაშის ბალანი) მეშვეობით ყოვლისშემძლე და არაჩვეულებრივ არსებებთან.

1386. ცუხიშვილი მ. შრომის ლექს-სიმღერები: (საფეიქრო) // კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა. - 2006. - №10. - გვ. 282-287. რეზ. ინგლ. ენაზე.

საფეიქრო შრომა-საქმიანობისა და მასთან დაკავშირებული ტრადიციების განხილვა ფოლკლორთან მიმართებაში, ლექს-სიმღერების თემატიკა და ჟანრობრივი თავისებურებანი.

1387. წულუკიძე ნ. ამირანის თქმულება ინდურ მითოლოგიაში: (სამეცნიერო ნარკვევიდან „ქართველები და არიელები“) // ჭოროხი. - 2004. - №9-10. - გვ. 92-103.

ამირანის თქმულების კუთხური (სვანური, ქართლური, კახური) ვარიანტები და მისი კავშირი ინდურ ეპოსთან – „მაჰაბჰარატა“.



1388. ჭოლოშივილი ი. მედეას მითიური სახის ზოგიერთი ასპექტი // მნემოსინე: სტუდენტთა შრომები ელინოლოგიასა და ლათინისტიკაში. - 2006. - №2. - გვ. 10-15.

მითოლოგიური პერსონაჟის – მედეას შესახებ თქმულების განხილვა ბერძნულ ეპიკურ ტრადიციაში.

1389. ჯღარკავა მ. კოლხური საქორწილო ღექს-სიმღერები: (მეგრულ-ლაზური ფოლკლორული მასალების მიხედვით) // ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სერია. - 2005. - კრ. 7. - გვ. 199-212. რეზ. რუს. ენაზე.

ქართული საწესწევლებო ფოლკლორის ერთ-ერთი მონაკვეთის – კოლხური საქორწილო ზეპირსიტყვიერების ანალიზი.

1390. Малазония Д. Грузинские шестидесятники XIX века о значении устного народного творчества для исторических исследований // თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი: პრობლემ. - 2005. - №6(18). - გვ. 286-289. რეზ. ქართ. და ინგლ. ენებზე.

## არქეოლოგია

1391. ორჯონიკიძე ალ. მასალები საქართველოს ადრებრინჯაოს ხანის არქეოლოგიისათვის. - თბ., 2005. - 146 გვ.

მტკვარ-არაქსის კულტურის ძეგლები ჯავახეთის პლატოზე, არარატული ტიპის კერამიკა საქართველოში, ნამოსახლარები: დიგაშენი და ორჭოსანი.

1392. ასლანიშვილი ვლ. ზემო იმერეთის ანთროპოლოგია // არქეოლოგიური ჟურნალი. - 2006. - ტ. 4. - გვ. 115-124. რეზ. ინგლ. ენაზე.

დროის სხვადასხვა მონაკვეთში საჩხერის რაიონში საირხისა და საბუდარას გორის ადრეანტიკური ხანის (ძვ. წ. IV ს-ის I ნახევარი) სამარხებში და ჭიათურის რაიონის სოფ. ჯიეთში მოპოვებული კრანიომასალის გამოკვლევა.

1393. ასლანიშვილი ლ. რომაული აგური და კრამიტი აფსაროსიდან // ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სერია. - 2005. - კრ. 8. - გვ. 127-132. რეზ. ინგლ. ენაზე.

I ს-ის ბოლოს აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში რომაული ციხეებისგან შემდგარი ერთიანი თავდაცვითი სისტემა – „პონტოს ლიმესი“ და მისი უმნიშვნელოვანესი რგოლი – აფსაროსი.

1394. ბარამიძე მ. რეფო-შეშელეთის ნამოსახლარი / მ. ბარამიძე, ლ. ჯიბლაძე, რ. ხვისტიანი // აფხაზეთის მონამბე. - 2004. - №8. - გვ. 29-30. რეზ. ქართ., რუს. და ინგლ. ენებზე.

გალის რაიონში მდებარე რეფო-შეშელეთის ნამოსახლართა სისტემის (დიხა-გუძუბა) აღწერილობა (ძვ. წ. VIII-VII სს.).

1395. ბერიკაშვილი დ. ქვემო წყლულეთის ეკლესიის არქეოლოგიური გათხრები // არქეოლოგიური ჟურნალი. - 2006. - ტ. 4. - გვ. 107-114. რეზ. ინგლ. ენაზე.

ძეგლის ინტერიერისა და შიდა ეზოს არქეოლოგიური მასალის ერთი ნაწილის, სავარაუდოდ, ეკლესიის თანადროულად XI-XIII სს.-ით, ხოლო გარკვეული ნაწილის ტაძრის განახლების პერიოდით XVI-XVII სს.-ით დათარიღება.

1396. ბერძენიშვილი ი. აფხაზეთის ადრე შუა საუკუნეთა ხანის სამაროვნები და სამარხთა ძირითადი ტიპები // ამირანი. - 2006. - ტ. 16. - გვ. 15-30. რეზ. რუს. ენაზე.

ბიჭვინთისა და წებელის სამაროვნებზე აღმოჩენილი გრუნტული ორმოსამარხები, კრამიტსამარხები, ამფორასამარხები, კირხსნარიანი, დულაბიანი სამარხები და სხვ.

1397. ბითაძე ლ. საქართველოს უძველესი მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობის დინამიკა // კლიო. - 2005. - №26. - გვ. 183-193. რეზ. რუს. ენაზე.

საქართველოს ტერიტორიაზე უძველესი დროიდან მცხოვრები მოსახლეობის პალეოდემოგრაფიული შესწავლის საფუძველზე მიღებული მონაცემები.

1398. გაბუნია მ. სოციალური ადაპტაცია ზედაპალეოლით-მეზოლითში: (ჯავახეთის მასალების მიხედვით) // თსუ მესხეთის ფილიალის შრომები: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სერია. - 2006. - ტ. 1. - გვ. 393-405. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

სტატიაში საუბარია ძველი ქვის ხანის ადამიანის ადაპტაციაზე გარემო პირობებთან არქეოლოგიური მასალების მიხედვით.

1399. გაგოშიძე ი. ითხვისის სამაროვანი / იულონ გაგოშიძე, ნანა გოგიბერიძე, გიორგი მახარაძე // არქეოლოგიური ჟურნალი. - 2006. - ტ. 4. - გვ. 36-59. რეზ. ინგლ. ენაზე.

ჭიათურის რაიონში მაღარო ახალი ითხვისის ღია კარიერზე აღმოჩენილი არქეოლოგიური ნივთების კატალოგი.

1400. გიგოლაშვილი ელ. ვანის ბრინჯაოს ჭურჭელი // კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული. - 2006. - ტ. 12. - გვ. 183-187. რეზ. ინგლ. ენაზე.

კოლხეთში ფართოდ გავრცელებული ბრინჯაოს ჭურჭლის ე.წ. სიტულის ერთ-ერთი ნიმუშის განხილვა.

1401. გომელაური ნ. ლიჭემენ-წითელგორის არქეოლოგიური კულტურის ბრინჯაოს მცირე პლასტიკის სემანტიკის შესახებ // საქართველოს სიძველენი. - 2005. - ტ. 7-8. - გვ. 21-30. რეზ. ინგლ. ენაზე.

ყორღანულ სამარხებში აღმოჩენილი ბრინჯაოს ეტლის შტანდარტების სკულპტურული გამოსახულებების სიმბოლური მნიშვნელობა. მათი ცისა და მიწის, ადამიანსა და ღვთაებას შორის არსებული კავშირის სიმბოლოდ მიჩნევა.

1402. გურასპაშვილი ნ. ერთი არქეოლოგიური ნივთის მნიშვნელობის განსაზღვრისთვის // ამირანი. - 2006. - ტ. 14-15. - გვ. 308-311.

კასპის რაიონის სოფელ გამდლისწყაროს სამაროვანზე ნაპოვნი ბრინჯაოს ნივთები (ჩვ.წ. აღ-მდე II-I ათასწლეულები) და სავარაუდო კავშირები წინა-აზია კავკასიის კულტურებთან.

1403. დავითაშვილი ქ. ნაურიადის სამაროვნის გამოუქვეყნებელი სამარხი // არქეოლოგიური ჟურნალი. - 2006. - ტ. 4. - გვ. 18-22. რეზ. ინგლ. ენაზე.

სოფელ მცხეთიჯვარში (ხაშურის რაიონი) 1972-76 წლებში გამოვლენილი ძვ.წ. VIII-III სს.-ის სამაროვანის №10 სამარხში აღმოჩენილი მასალის განხილვა.

1404. დავითაშვილი ქ. ნაურიადის სამაროვნის დანგრეული სამარხების არქეოლოგიური მასალა / ქეთევან დავითაშვილი, ამირან დავითაშვილი // არქეოლოგიური ჟურნალი. - 2006. - ტ. 4. - გვ. 31-35. რეზ. ინგლ. ენაზე.

სოფელ მცხეთიჯვრის განაპირას ნაურიალის ტერიტორიაზე გზის მშენებლობისას დანგრეული სამარხებიდან ანაკრეფი მასალის აღწერა და ანალიზი (ძვ. წ. VIII-III სს.).

1405. დოლიძე ნ. ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის სამაროვანთა ქრონოლოგიის ზოგიერთი საკითხი: (ლითონის სამკაულის მიხედვით) // ამირანი. - 2006. - ტ. 16. - გვ. 31-36. რეზ. ინგლ. ენაზე.

გაგრძიდან სოხუმის მთებამდე გამოვლენილი გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის (ძვ. წ. X-IX-VI-V სს.) ორმოსამარხები და ქვევრსამარხები (ოსუარიუმები).

1406. ებრალიძე ტ. რომაული ხანის ჭრაქები გონიო-აფსაროსიდან / ტ. ებრალიძე, შ. მამულაძე // ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სერია. - 2005. - კრ. 8. - გვ. 45-56. რეზ. რუს. ენაზე.

გონიო-აფსაროსში აღმოჩენილი, პერგამონის ნაკეთობანი და სამოსის საწარმოო ცენტრებში დამზადებული I-III სს-ის ჭრაქების ტიპების აღწერილობა.

1407. თოდუა თ. რომაული ფალერა კლდეეთიდან // ამირანი. - 2006. - ტ. 14-15. - გვ. 16-21. რეზ. ინგლ. ენაზე.

კლდეეთის სამაროვანში ნაპოვნი რომაული ფალერა (სამხედრო ჯილდო ძვ.წ. II ს-დან); კოლხეთ-რომის სამხედრო-პოლიტიკური და კულტურული კონტაქტები.

1408. თორთლაძე ზ. ზემო გოსტიბეს სამაროვანი // არქეოლოგიური ჟურნალი. - 2006. - ტ. 4. - გვ. 85-90. რეზ. ინგლ. ენაზე.

თემის ხეობაში, სოფელ გოსტიბესა და მის შემოგარენში 1989-91 წლებში გამოვლენილი სამარხები და სამარხეული ნივთები (სავარაუდოდ, IV-VII სს.).

1409. იამანიძე ნ. ახლად აღმოჩენილი ტრაპეზი სოფელ ბურდიანიდან // საქართველოს სიძველენი. - 2005. - ტ. 7-8. - გვ. 31-48. რეზ. ინგლ. ენაზე.

ტრაპეზის ფრაგმენტების დათარიღების საკითხი და მხატვრულ-სტილისტური ანალიზი.

1410. ინაძე მ. შიდა კოლხეთის ქალაქების გენეზისისათვის // კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული. - 2006. - ტ. 12. - გვ. 131-146. რეზ. გერმ. ენაზე.

დასავლეთ საქართველოს უმნიშვნელოვანეს ნაქალაქარებზე – ვანში, ნოქალაქევისა და საირხის მიდამოებში არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალის ანალიზის საფუძველზე მოცემულია ძვ.წ. VII-VI სს.-ის კოლხური ქალაქის დახასიათება.

1411. კაპანაძე ნ. საჩხერის ადრეული შუა საუკუნეების სამაროვანი // არქეოლოგიური ჟურნალი. - 2006. - ტ. 4. - გვ. 91-100. რეზ. ინგლ. ენაზე.

მოდინახეს IV ს-ის პირველი ნახევრისა და IV ს-ის შუა წლების სამარხებისა და სამარხეული ინვენტარის აღწერა.

1412. კახიძე ა. ახალი აღმოჩენები სოფელ წონიარისში / ამირან კახიძე, შოთა მამულაძე, ვაჟა ფარტენაძე // ლიტერატურული აჭარა. - 2003. - №7. - გვ. 105-108.

ქედის რ-ნის სოფ. წონიარისის არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული ნივთები: მშვილდსაკინძები, რკინის წაღდეგი.

1413. კიღურაძე ნ. ბერძნული დაკრძალვის წესი ბიჭვინტის სამაროვანზე // კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები. - 2005. - №22. - გვ. 25-32. რეზ. ინგლ. ენაზე.

არქეოლოგიური მასალა ამფორებისა და დერგების, როგორც კრემირებული ფერფლის შესანახად, ასევე მიცვალებულის ნეშტის დასაკრძალავად გამოყენების შესახებ. დაკრძალვის ამ ბერძნული წესის დადასტურება ბიჭვინტაში ახ.წ. II-IV სს.-ში.

1414. კვადიაშვილი ა. წეროს გამოსახულების სიმბოლური მნიშვნელობის შესახებ მტკვარ არაქსის კულტურაში: (ქვაცხელების დიადემის მაგალითზე) // საქართველოს სიძველენი. - 2005. - ტ. 7-8. - გვ. 11-20. რეზ. ინგლ. ენაზე.

ქვაცხელების სამაროვანზე აღმოჩენილი, ძვ.წ. III ათასწლეულის დასაწყისით დათარიღებული სპილენძის დიადემაზე გამოსახული ნიშან-სიმბოლოების განხილვა.

1415. ლომთაძე გ. მოდინახეს გვიანი ბრინჯაოს ხანის სამაროვანი: (გაგრძელება) // არქეოლოგიური ჟურნალი. - 2006. - ტ. 4. - გვ. 3-8. რეზ. ინგლ. ენაზე. დასაწყისი იხ.: არქეოლოგიური ჟურნალი. - 2004. - №3.

ზემო იმერეთის (მოღინახე) გვიანი ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური მასალის თანხვედრა აღმოსავლეთ საქართველოს თანადროული ძეგლების მასალასთან.

1416. ლორთქიფანიძე გ. რუსეთის არქეოლოგთა V ყრილობა და ქართული ნუმიზმატიკის პრობლემები / გურამ ლორთქიფანიძე, გოჩა გერაძე // კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები. - 2005. - №22. - გვ. 12-18. რეზ. ინგლ. ენაზე.

1881 წლის 8-11 სექტემბერს თბილისში მთავარმართებლის სასახლეში დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვის პატრონაჟითა და გრაფ ა. უვაროვის თავკაცობით ჩატარებული არქეოლოგთა ყრილობის მასალების მიმოხილვა.

1417. ლორთქიფანიძე ნ. ნიჩბისში აღმოჩენილი ბრინჯაოს ორი სურა // კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული. - 2006. - ტ. 12. - გვ. 188-196. რეზ. გერმ. ენაზე.

ახ.წ. I ს-ით დათარიღებული ხელოვნების ორი გამორჩეული ნიმუშის დეტალური იკონოგრაფიული ანალიზი.

1418. მათიაშვილი ნ. რიტუალური სამარხები ვანის ნაქალაქარიდან // კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული. - 2006. - ტ. 12. - გვ. 172-182. რეზ. ინგლ. ენაზე.

საკრალური ხასიათის ძეგლების ერთი ჯგუფის, ლითონის მცირე ზომის ქანდაკებებისათვის განკუთვნილი სამარხების დანიშნულება-მნიშვნელობის დადგენა და შედარებითი დათარიღება.

1419. მამულაძე შ. აჭარის მთისა და ბარის მოსახლეობის ურთიერთობის ზოგიერთი საკითხი ნეოლითის ხანაში / შოთა მამულაძე, მარინა ჯინჭარაძე // ბათუმის შოთა რუსთაველის სახელელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სერია. - 2005. - კრ. 8. - გვ. 98-105. რეზ. რუს. ენაზე.

ნეოლითის ხანაში აჭარის ტერიტორიაზე მიმდინარე პროცესები: აჭარის მთიანეთის (მათ შორის აღპური ზოლის) ათვისება ზღვისპირა მოსახლეობის მიერ.

1420. მახარაძე გ. იბერია-კოლხეთი ძვ.წ. IV ს-ის მესამე მეოთხედში // არქეოლოგიური ჟურნალი. - 2006. - ტ. 4. - გვ. 23-30. რეზ. ინგლ. ენაზე.

დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს მდიდრული სამარხებისა და დაკრძალვის რიტუალთა მსგავსება.

1421. მახარაძე გ. უფლისციხის წინაანტიკური ხანის ნამოსახლარი / გიორგი მახარაძე, ნაზი ხუნდაძე // არქეოლოგიური ჟურნალი. - 2006. - ტ. 4. - გვ. 9-17. რეზ. ინგლ. ენაზე.

აქ გამოვლენილი არქეოლოგიური მასალის განხილვა. პარადული სამადლოს ტიპის ძეგლების კერამიკასთან. ნამოსახლარის ცხოვრების სავარაუდო განახლების ძვ.წ. 70-იანი წლებით დათარიღება.

1422. მჭვიდდაძე მ. რომი და პიტიუნტი: (რელიგიური ასპექტი) // კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები. - 2005. - №22. - გვ. 19-24. რეზ. ინგლ. ენაზე.

ახ.წ. I-IV სს.-ში რომისათვის სტრატეგიული დანიშნულების თავდაცვით სისტემა კავკასიის ლიმესში შემავალი საქართველოს შავიზღვისპირა ქალაქის მოსახლეობის რელიგიური კუთვნილების დადგენა, დგთაება მითრას კულტის შემოსვლის რომის იმპერიასთან დაკავშირება, ქალაქში მცხოვრებ ქრისტიანთა პროცენტული შემადგენლობის კვლევა არქეოლოგიური მასალის საფუძველზე.

1423. ნიკოლაიშვილი ბ. ბამბების გვიანელინისტური ხანის სამარხები // არქეოლოგიური ჟურნალი. - 2006. - ტ. 4. - გვ. 69-73. რეზ. ინგლ. ენაზე.

ძვ.წ. II-I სს. ქვევრსამარხების, ორმოსამარხების, დერგსამარხებისა და სამარხეული ინვენტარის – ბრინჯაოს, ვერცხლის, ელექტრიუმის ნივთების, მინა-პასტის მძივებისა და თიხისგან დამზადებული ჭურჭლის აღწერა.

1424. რაზმაძე მ. რაფიელ ერისთავი და საქართველოს ისტორიული სიძველენი // ამირანი. - 2006. - ტ. 14-15. - გვ. 90-98. რეზ. ინგლ. ენაზე.

მწერალ რ. ერისთავის მოღვაწეობა კავკასიურ მუზეუმში, თუშფშავ-ხევსურეთის ეთნოგრაფიული შესწავლა და ანაკლიაში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრები (XIX ს-ის II ნახ.).

1425. სონდულაშვილი ხ. ჯიეთის სამაროვანი // არქეოლოგიური ჟურნალი. - 2006. - ტ. 4. - გვ. 74-84. რეზ. ინგლ. ენაზე.

ქალაქ ჭიათურასა და სოფ. წინსოფელს შორის, მდინარე ყვირილას მარცხენა ნაპირას მდებარე ნაქალაქარის ტერიტორიაზე აღმოჩენილი სამარხებისა და სამარხეული ნივთების აღწერა (ახ.წ. I-III სს.).

1426. დვაბერიძე ც. სოფელ ფოკის განძი // არქეოლოგიური ჟურნალი. - 2006. - ტ. 4. - გვ. 101-106. რეზ. ინგლ. ენაზე.

1979 წ. სოფ. ფოკაში (ნინოწმინდის რ-ნი), საძირკვლის თხრის დროს თიხის ჭურჭელში აღმოჩენილი XIV საუკუნეში ირანის მონღოლური დინასტიის წარმომადგენლის ოლჯათუ ილხანის სახელით მოჭრილი ფული. თბილისში მოჭრილი ერთ-ერთი მონეტის აღწერილობა.

1427. ყიფიანი გ. როდის დაიწყო ქართველთა ცხოვრება // იმიჯი. - 2003. - №1. - გვ. 32-34.

მცხეთაში არმაზციხის, ანტიოქიის ეკლესიისა და სვეტიცხოვლის ტერიტორიაზე აღმოჩენილი მონუმენტური ნაგებობის არქეოლოგიური მასალები.

1428. წერეთელი კ. ქალაქი ჟინვანი და დარიალის საუფელტეხილო მაგისტრალი // ამირანი. - 2006. - ტ. 16. - გვ. 37-49. რეზ. ინგლ. ენაზე.

შუა საუკუნეების ქალაქ ჟინვანის წარმოშობის, უმთავრესი ფუნქციისა და დარიალის გზასთან მიმართების საკითხები არქეოლოგიური გათხრების მონაცემების მიხედვით.

1429. წერეთელი მ. ხატისუღელი – დიადემა // არქეოლოგიური ჟურნალი. - 2006. - ტ. 4. - გვ. 60-68. რეზ. ინგლ. ენაზე.

ძვ.წ. VII-VI სს.-ში გავრცელებული სამკაულის ორი ტიპის – საკისრე რკალისა და დიადემის ერთობლივი განხილვა, მისი ფორმისა და დეკორატიული შემკულობის სტრუქტურის ჩამოყალიბების, ხასიათისა და შინაარსის განსაზღვრა.

1430. ჭელიძე ი. მაყვლოვანთან, სადაც მოღვაწეობდა წმ. ნინო... // იმიჯი. - 2003. - №7. - გვ. 30-31.

მცხეთის სამთავროს ტაძრის (XI ს.) პირვანდელი სახის აღდგენისა და მეფე მირიანის საფლავის ადგილის მოძიებასთან დაკავშირებით ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების მასალები.



1431. ჯიბლაძე ლ. ხის სახენელი იარაღები ყულევის ნამოსახლარიდან / ლ. ჯიბლაძე, ნ. პაპუაშვილი // ამირანი. - 2006. - ტ. 16. - გვ. 7-14. რეზ. ინგლ. და რუს. ენებზე.

ხობის რაიონში მდებარე ყულევის ნამოსახლარზე გამოვლენილი მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული ნივთები (ძვ. წ. II ათასწ. II ნახევარი).

1432. ჯიბლაძე ლ. ბრინჯაოს მეტალურგიული წარმოების მეორადი ცენტრები კოლხეთის დაბლობზე: (ზოგადი მიმოხილვა ნამოსახლარების მასალების მიხედვით) // ამირანი. - 2006. - ტ. 14-15. - გვ. 9-15. რეზ. ინგლ. ენაზე.

### **გეოგრაფია. მოგზაურები. რუკები**

1433. ნინიძე დ. საქართველოს ისტორიული გეოგრაფია: (მითითებები სალექციო კურსისათვის). - თბ., 2005. - 149 გვ.

ისტორიული გეოგრაფიის არსი და მეთოდოლოგია.

1434. ღუღუშაური თ. XIX საუკუნის მეორე ნახევრის გერმანული წყაროები ქართველი ხალხის სულიერი კულტურის შესახებ. - თბ., 2005. - 165 გვ.

ქართველ მთიელთა რელიგიური აზროვნების ზოგიერთი თავისებურება მე-19 ს-ის მეორე ნახევრის გერმანულ მეცნიერ-მოგზაურთა ეთნოგრაფიულ შრომებში და ქართველ მეცნიერთა კვლევის შედეგები.

1435. გიცბა თ. თბილისი ჯ. ბაჩენ ტელფერის აღწერილობაში // საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები. - 2005. - ტ. 8. - გვ. 57-87. რეზ. ინგლ. ენაზე.

ქალაქის გარეგნულ-არქიტექტურული იერი, კულტურული ღონისძიებები და თბილისის საქალაქო ცხოვრების სტილი XIX საუკუნის ინგლისელი მოგზაურის, 1876 წ. ლონდონში გამოცემულ ორტომიან წიგნში – „ყირიმი და კავკასია“.

1436. გიცბა თ. სტანისლა მონიეს მოგონებანი თბილისზე: (XIX ს. 90-იანი წლები) // საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები. - 2006. - ტ. 9. - გვ. 68-82. რეზ. ინგლ. ენაზე.

ფრანგი მეცნიერი ქალის სტანისლა მონიეს მოგზაურობის შთაბეჭდილებანი 1899 წ. პარიზში გამოცემული წიგნიდან „სანკტ-პეტერბურგიდან არარატამდე“.

1437. ზოიძე ა. ჭვანის ხეობა // ლიტერატურული აჭარა. - 2003. - №10. - გვ. 99-102.

ნ. შარაშიძისა და დ. ქათამაძის ისტორიულ-გეოგრაფიული ნაშრომი – „ჭვანის ხეობა“ – განხილვა.

1438. მემიშიში ო. ლახთა შესახებ: წერილი პირველი // ხერთვისი. - 2005. - №1(ივნისი). - გვ. 24-25.

გერმანელი მეცნიერის გეორგ როზენისა (XIX ს.) და მისიონერ ლუი გრანჟიეს (XVII ს.) ცნობები ლახეთის შესახებ.

1439. მიქელაძე დ. საქართველო ევროპელ მწერალთა ნააზრევში / / თსუ მესხეთის ფილიალის შრომები: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სერია. - 2006. - ტ. 1. - გვ. 52-58. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

ევროპელი მოგზაურების, მწერლების, მეცნიერებისა და საზოგადო მოღვაწეების დაინტერესება საქართველოთი და ამით საქართველო-ევროპის კავშირების გამყარება XIX საუკუნეში.

1440. სიხარულიძე ი. ზემო მიჭიხიანი: (საინტერესო გეოგრაფიის წყაროები) // ლიტერატურული აჭარა. - 2004. - №4-8. - გვ. 88-93. ზემო და ქვემო მაჭახლის ხეობის გეოგრაფიული აღწერა.

1441. სურმანიძე ნ. ჩაქვისწყლის ხეობის ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა // ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სერია. - 2005. - კრ. 8. - გვ. 57-60. რეზ. რუს. ენაზე.

ხეობის ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულებად დაყოფის უძველესი ტრადიცია საქართველოში აღ. ფრენკელისა და ვახუშტი ბატონიშვილის ცნობები ჩაქვისწყლის ხეობის შესახებ.

## ეპიგრაფიკა

1442. სილოგავა ვ. ახალი ეპიგრაფიკული მასალა სამცხე-ჯავახეთის ისტორიულ მუზეუმში: (ს. ბოგის და ს. ორჭოსნის წარწერები) // თსუ მესხეთის ფილიალის შრომები: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სერია. - 2006. - ტ. 1. - გვ. 279-301. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

2003 წ. არქეოლოგიური გათხრების შედეგად ახალციხის რ-ნის სოფ. ბოგისა და სოფ. ორჭოსნის ეკლესიებში აღმოჩენილი X საუკუნის წარწერები.

1443. ტულუში ა. XI საუკუნის ორი ახალაღმოჩენილი წარწერა ზუგდიდიდან / აბესალომ ტულუში, ავთანდილ თორდია // წელიწადეული: თსუ ზუგდიდის ფილიალი. - 2005. - ტ. 1. - გვ. 84-85. რეზ. რუს. ენაზე.

ეწერის წმ. გიორგის ეკლესიის (XI ს.) კარიბჭესა და ჩუქურთმიან ქვაზე აღმოჩენილი ასომთავრული წარწერების თაობაზე.

1444. ქაჯაია გ. საქართველოს ბერძნული ფრესკული წარწერები და მათი პარალელები საერთო ბიზანტიურ სივრცეში // ამირანი. - 2006. - ტ. 16. - გვ. 99-108. რეზ. ინგლ. ენაზე.

განხილულია გრემის მთავარანგელოზის ეკლესიაში დაცული მეუდაბნოეთა თერთმეტი ბერძნულწარწერიანი ფრესკული გამოსახულება და წარწერათა პარალელური ტექსტები საბერძნეთის, ბულგარეთის, რუსეთის ეკლესია-მონასტრებიდან. მოცემულია მათი ქართული თარგმანები.

1445. ქაჯაია გ. საქართველოს ბერძნული ფრესკული წარწერების ლიტერატურული წყაროები // მრავალთავი: ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი. - 2003. - ტ. 20. - გვ. 183-188. რეზ. რუს. ენაზე.

ნაშრომში განხილულია ორი ყველაზე დიდი მეუდაბნოს – ექვთიმე დიდისა და საბა განწმენდილის ფრესკული წარწერები.

## ისტორია

1446. მისირელი გ. გუარი ესე, რომელ არს. - თბ., 2005. - 328 გვ.  
ერთ-ერთი უძველესი საგვარეულოს – ნიჟარაძეების ისტორია. სვანეთის, იმერეთის და აჭარა-ქობულეთის ამ გვარის წარმომადგენელთა წვლილი საქართველოს პოლიტიკურ-კულტურულ ცხოვრებაში. ნაშრომი ეძღვნება საზოგადო მოღვაწის, რეჯებ ნიჟარაძის დაბადებიდან 130 წლისთავს.

1447. მჭედლიშვილი გ. რუსთაველის, თამარ მეფისა და რუსუდანის საფლავების სავარაუდო ადგილსამყოფელის შესახებ. - თბ., 2005. - 40 გვ.

1448. ნადირაძე ქ. ისტორიოგრაფია – ისტორიული მეცნიერების ისტორია. - თბ., 2005. - 87 გვ.

ისტორიოგრაფიის ძირითადი მიმართულებები, შესწავლის მეთოდები და ისტორიკოსის მიერ წყაროების მოხმარების ხასიათი.

1449. სიხარულიძე ა. მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი და საქართველო (დაარსებიდან 250 წელი). - თბ., 2005. - 112 გვ.

მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი და მის დაარსებაში აქტიურად მონაწილე ვახუშტი ბატონიშვილი.

1450. სოსიაშვილი გ. ვანათის ისტორიიდან. - თბ., 2005. - 54 გვ.  
პატარა ღიახვის ხეობის ერთ-ერთი უძველესი სოფლის მდებარეობა, ეთნიკური ისტორია და სიძველეები.

1451. სოსიაშვილი გ. სამაჩაბლოს ისტორია: (XV-XIX სს.). - თბ., 2005. - 199 გვ.

შიდა ქართლის ტერიტორიაზე არსებული ერთ-ერთი სათავადოს, სამაჩაბლოს სოციალ-ეკონომიკური ყოფა, პოლიტიკური ისტორია და როლი საქართველოს სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში.

1452. ურუშაძე ლ. საქართველოს და კავკასიის ისტორიის ზოგიერთი საკითხი ქართულ ემიგრანტულ ლიტერატურაში. - თბ., 2005. - 114 გვ.

ქართული პოლიტიკური ემიგრაციის პირველი და მეორე თაობების (1920-1940-იანი წწ.) წარმომადგენელთა სამეცნიერო მემკვიდრეობის ანალიზი; ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა 1944

წლის ტრაგედია, 1989 წლის 9 აპრილი; საქართველოს 1990-იანი წლების ისტორიის საკითხები ემიგრანტულ ჟურნალ "გუშაგის" ფურცლებზე.

1453. ფიფია კ. ტრაიანეს აღმოსავლური პოლიტიკა და საქართველო. - თბ., 2005. - 62 გვ.

რომაულ-ქართული ურთიერთობები იმპერატორ ტრაიანეს (98-117 წწ.) მმართველობის პერიოდში. იმპერატორის აღმოსავლური პოლიტიკის მიმართულებები და ამ პოლიტიკის თავისებურებები საქართველოსთან მიმართებაში.

1454. ფუტკარაძე ტ. ქართველები: ნაწ. I. ქრისტიანობამდელი ეპოქა. - ქუთაისი, 2005. - 612 გვ.

ქართველების ენობრივი და ეთნიკური ისტორიის საკითხები. წიგნს ახლავს ინგლისურენოვანი და თურქულენოვანი ვარიანტები, სქემატური რუკები.

1455. ქართველოლოგიური კათედრების (არქეოლოგია, ეთნოლოგია, საქართველოს ისტორია) ახალგაზრდა მეცნიერთა III სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული / [რედ.: გ. ავალიშვილი]. - თბ., 2005. - 81 გვ.

ქ. სტურუას, თ. მათიაშვილის, მ. გაბუნias, ხ. ცეცხლადის, მ. ჩიჩუასა და სხვ. მოხსენებების თეზისები.

1456. ქუთათელაძე ქ. ქართველი მეფეების დამოკიდებულება ქვემო ქართლის მიწებისადმი XI-XII სს.-ში. - თბ., 2005. - 15 გვ.

ქვემო ქართლში X-XII საუკუნეებში არსებული საეკლესიო მიწათმფლობელობა მხარის სოციალურ-პოლიტიკური სიტუაციის ფონზე.

1457. ღუნაშვილი ვ. ქსნის საერისთავოს პოლიტიკური ისტორია: (VI ს-ის 70-იანი წლებიდან 1777 წლის ჩათვლით). - თბ., 2005. - 340 გვ.

ხელისუფლების პოლიტიკური ორიენტაციის ცვლის შედეგად ჩამოყალიბებული პოლიტიკური ვითარება ქსნის („ცხრაზმის“) საერისთავოში. სეპარატიზმი და მის წინააღმდეგ ბრძოლა XIV-XVIII საუკუნეებში.

1458. შარაძე გ. ...ასე იწყებოდა წმ. ექვთიმე ღვთისკაცი – თაყაიშვილი. - თბ., 2005. - 431 გვ; ტექსტი ქართ. და რუს. ენებზე.

ე. თაყაიშვილი ოზურგეთისა და ფოთის სამაზრო სასწავლებლებში, ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიასა და პეტერბურგის უნივერსიტეტში. სანკტ-პეტერბურგის არქივებში აღმოჩენილი მისი უცნობი სამეცნიერო წერილები და სადისერტაციო ნაშრომი.

1459. წენგუაშვილი კ. საქართველოს 1921-1925 წლების ისტორიის ისტორიოგრაფია. - თბ., 2005. - 249 გვ.

საქართველოს მე-20 საუკუნის ისტორიის მნიშვნელოვანი პერიოდის პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების მდგომარეობა ქართულ საბჭოთა და პოსტსაბჭოთა ისტორიოგრაფიაში.

1460. წურწუშია ა. ალექსანდრე ამილახვრის პოლიტიკური შეხედულებები. - თბ., 2005. - 133 გვ.

მე-18 ს-ის მოღვაწისა და განმანათლებლის მოფლმხედველობა.

1461. ჯავახია ბ. ანტიკურობიდან შუა საუკუნეებისაკენ: (დასავლეთ ევროპა, ბიზანტია, საქართველო). - თბ., 2005. - 179 გვ.

შუა საუკუნეების ცივილიზაციის ძირითადი მახასიათებლები, განმასხვავებელი ელემენტები და თავისებურებანი რეგიონების მიხედვით; საქართველო შუა საუკუნეების ევროპის ქრისტიანული ცივილიზაციის სათავეებთან.

1462. Джавахишвили Н. Борьба за свободу Кавказа: (Из истории военно-политического сотрудничества грузин и северокавказцев в первой половине XX века). - Тб., 2005. - 147 с.

Грузия и Северный Кавказ (1917-1918 гг.). Взаимоотношения демократической республики Грузия и Горской республики (1918-1920 гг.). Политическое сотрудничество грузинских и северокавказских эмигрантов (1924-1941 гг.) и их борьба против большевизма (1941-1945 гг.) .

1463. Нинидзе Д. Роль Династии в государстве – Багратиони. - Тб., 2005. - 127 с.

Из истории царской династии Грузии, Багратиони от происхождения до сегодняшнего дня и о значении этого рода для грузинского государства.

1464. არბოლიშვილი ღ. კოლხეთის დიდი სავაჭრო-სატრანზიტო ქალაქები პლინიუსის მიხედვით // კავკასიურ-ახლო აღმოსავლური კრებული. - 2006. - ტ. 12. - გვ. 147-171. რეზ. ინგლ. ენაზე.

რომაელი მწერლის პლინიუს უფროსის ნაშრომში „ბუნების ისტორია“ განსაზღვრულია ანტიკური კოლხეთის ქალაქების (აფსაროსი, ციხისძირი, ფაზისი, დოსკურია-სებასტოპოლისი, პიტიუნტი და სხვ.) ძირითადი ტიპები, რომელთა უმრავლესობა წარმოადგენდა პოლიტიკურ-ეკონომიკურ და ამავე დროს კულტურულ-რელიგიურ ცენტრებს.

1465. ახალკაცი ნ. ხეთური სასაზღვრო ოლქების მმართველობის სისტემა // თსუ მესხეთის ფილიალის შრომები: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სერია. - 2006. - ტ. 1. - გვ. 171-189. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

ხეთების სამეფოს სასაზღვრო ოლქების მმართველობის სისტემა, რომელსაც ახორციელებდა ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენელი ადგილობრივ თვითმმართველობასთან მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობით.

1466. ბახტაძე გ. აჭარა გრიგოლ ორბელიანის ეპისტოლარულ მემკვიდრეობაში // ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სერია. - 2005. - კრ. 7. - გვ. 213-215. რეზ. რუს. ენაზე.

გრ. ორბელიანის, როგორც პატრიოტისა და უმაღლესი სამხედრო ეშელონის წარმომადგენლის დაინტერესება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოთი, აჭარის საკითხი მის პირად წერტილებში.

1467. ბერიძე ბ. პოლიტიკური და სამართლებრივი აზროვნების ისტორიიდან აჭარაში: (XIX ს. პირველი ნახევარი) // ლიტერატურული აჭარა. - 2003. - №5. - გვ. 94-99.

ისტორიული მიმოხილვა: ეროვნულ-განმათავისუფლებელი გამოსვლები და აჭარის მოსახლეობის ისტორიულ სამშობლოსთან შეერთების მზადყოფნა.

1468. ბერიძე ც. ლადო აღნიაშვილი და ფერეიდნელი ქართველები // კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა. - 2004. - №7. - გვ. 240-252. რეზ. ინგლ. ენაზე.

ეთნოგრაფისა და ფოლკლორისტის – ლ. აღნიაშვილის მოგ-  
ზაურობა ფერეიდანში. სპარსეთში მცხოვრები ქართველების ყოფა-  
ცხოვრების ასახვა წიგნში „სპარსეთი და იქაური ქართველები“.

1469. ბიბლიეშივილი ი. ჰაიდარ აბაშიძე // ლიტერატურული აჭარა.  
- 2004. - №4-8. - გვ. 77-80.

პუბლიცისტური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა, შეხედულებები ენის, კულტურის, ეროვნებისა და სარწმუნოების ურთიერთ-  
დამოკიდებულებაზე.

1470. ბიბლიეშივილი ც. ბარონ ალექსანდრე პავლეს ძე ნიკოლაის  
რამდენიმე წერილი თავისი ძმის ლეონტი პავლეს ძე ნიკოლაისად-  
მი // მრავალთავი: ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი. - 2003. -  
ტ. 20. - გვ. 323-330. რეზ. ფრანგ. ენაზე.

XIX ს-ის საქართველოში, კავკასიასა და ევროპაში მიმდინარე  
მნიშვნელოვანი მოვლენების ასახვა მაღალჩინოსანი მოხელის,  
პოეტ ალ. ჭავჭავაძის სიძის, ბარონ ალ. ნიკოლაის წერილებში.

1471. ბოლქვაძე შ. სიმშიაშვილთა წინაპარი // ლიტერატურული  
აჭარა. - 2003. - №5. - გვ. 100-102.

სიმშიაშვილების გენეალოგია თაობათა მიხედვით და ხალ-  
ხური გადმოცემები ამ გვარის შესახებ.

1472. ბუძიშვილი თ. ანტიკური სამყაროს ურთიერთობების შეს-  
წავლა XIX-XX საუკუნეების ქართულ, რუსულ და ევროპულ ის-  
ტორიოგრაფიაში // საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები.  
- 2006. - ტ. 9. - გვ. 154-159. რეზ. რუს. ენაზე.

რომისა და ელინისტური აღმოსავლური სამყაროს ურთიერ-  
ობის საკითხები ქართველი მკვლევარების – ალ. წერეთლისა  
და ლევან სანიკიძის ნაშრომებში.

1473. გაბლიშვილი ნ. რუსეთის კოლონიური პოლიტიკა XIX საუკუნ-  
ის პირველი ნახევრის საქართველოში // საქართველოს ისტორიის  
საკითხები. - 2005. - ტ. 8. - გვ. 33-37.

1474. გელაშვილი ა. კახეთის 1812 წლის აჯანყება. - თბ., 2003.  
- 324 გვ.

რეც.: კობრეიძე არჩილ. საინტერესო გამოკვლევა // საქართვე-  
ლოს ახალი ისტორიის საკითხები. - 2006. - ტ. 9. - გვ. 228-231.



1475. გელაშვილი დ. 1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის შემუშავებისა და მიღების ისტორია // თსუ მესხეთის ფილიალის შრომები: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სერია. - 2006. - ტ. 1. - გვ. 190-198. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

1476. გელოვანი ა. კონსტანტინე დადიშგელიანის დახვრეტის დათარიღებისათვის // კლიო. - 2005. - №28. - გვ. 45-54. რეზ. რუს. ენაზე.

არქივებსა და პერიოდულ გამოცემებში დაცულ ცნობებზე დაყრდნობით, სვანეთის უკანასკნელი მთავრის – კონსტანტინე (მურზაყან) ციოყის ძე დადიშგელიანის დახვრეტის თარიღის დადგენა.

1477. გელოვანი ა. ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლები XIX ს. სვანეთის ისტორიის შესახებ: (ნიკო ნიკოლაძე) // კლიო. - 2005. - №26. - გვ. 65-76. რეზ. რუს. ენაზე.

ნიკო ნიკოლაძის ჩანაწერები სვანეთის უკანასკნელი მთავრის, კონსტანტინე (მურზაყან) დადიშგელიანის მიერ ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის, ალექსანდრე გაგარინის სასიკვდილოდ დაჭრისა და რუსეთის მოხელეთა მიერ კონსტანტინეს დახვრეტის შესახებ.

1478. გვაძაბია ნ. ქართულ-აფხაზური კულტურული ურთიერთობის ისტორიისათვის // თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი: პრობლემა. - 2005. - №5(17). - გვ. 176-179. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

XVII-XIX სს.-ში მიმდინარე მოვლენების ისტორიული მიმოხილვა.

1479. გორგაძე მ. 26 მაისი „საფრანგეთის პატარა საქართველოში“ // ხერთვისი. - 2005. - №1(ივნისი). - გვ. 43-44.

საქართველოს დამოუკიდებლობის დღის, 26 მაისის აღნიშვნა 1997 წელს პარიზთან ახლოს მდებარე ქართველთა სოფელ ლევილში.

1480. გოგიტიძე ს. გურიანას ქვეყანა ანუ როგორ დავამახინჯოთ აჭარის ისტორია // ლიტერატურული აჭარა. - 2003. - №7. - გვ. 117-120.

ენვერ გოგუაძის მონოგრაფიის – „გურიანას ქვეყანა (სუფსამოგროსის ხეობის საიდუმლოებანი“. - ბათუმი, 2001) – კრიტიკული ანალიზი.

1481. გოგიტიძე ს. ქვეყანა სუხმა (სოხნი): ლოკალიზაციისა და ეთნიკური კუთვნილებისათვის // ლიტერატურული აჭარა. - 2003. - №1. - გვ. 90-96.

ავტორის მტკიცებით ქვეყნის სახელწოდება სოხნი არის უძველესი ქართული სახელმწიფო ქართველური (სვანური) მოსახლეობით და არა ეთნონიმი სომეხის სახენაცვალი ფორმა. იგი არ უკავშირდება სომეხ ხალხს.

1482. გოგოლაური რ. ვახუშტი ბატონიშვილის ერთი ცნობის ტენდენციურობისათვის // თსუ მესხეთის ფილიალის შრომები: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სერია. - 2006. - ტ. 1. - გვ. 199-204. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

ვახუშტი ბატონიშვილის ტენდენციურობა ფშავ-ხევისურთა ბრძოლისუნარიანობის დახასიათების დროს.

1483. გოგოლიშვილი ო. აჭარის გლეხობის სოციალური მდგომარეობა რუსეთთან შეერთების შემდეგ // ლიტერატურული აჭარა. - 2003. - №1. - გვ. 97-100; №2. - გვ. 83-86.

სამიწათმოქმედო მიწების სიმცირე აჭარაში და კოლონიური ასახლშენების მოწყობა მეფის რუსეთის მთავრობის მიერ.

1484. გოგოლიშვილი ო. ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის ზოგიერთი ასპექტის შესახებ ბათუმის ოლქში // კლიო. - 2006. - №30. - გვ. 35-43. რეზ. რუს. ენაზე.

მეფის რუსეთის მიერ აჭარაში განხორციელებული რუსიფიკაციის პროგრამა – რუსეთის მოახლშენეთა დიდი მასის ჩასახლება, რუსული სკოლების გახსნა, სამხედრო სავაღდებულო სამსახურში მოსახლეობის გაწვევა, რაც, მათი ჩანაფიქრით, გამოიწვევდა ადგილობრივი მაჰმადიანების ოსმალეთში გადახვეწას და ტერიტორიების გამონთავისუფლებას.

1485. გონიკიშვილი მ. ქართველი მთავრები რუსეთის სამსახურში // პოლიტიკა. - 2003. - №9-10. - გვ. 36-39.

სამეგრელოს მთავრის გიორგი დადიანისა და მისი მეუღლის, მეფე გიორგი XII-ის შვილის, ნინოს ცხოვრება და მოღვაწეობა რუსეთის იმპერატორის კარზე. მე-18 საუკუნის საქართველოს მმართველობაში მიმდინარე შიდა ისტორიული მოვლენები.

1486. გუგუნავა ნ. ეროვნულ-საგანმანათლებლო მოძრაობის დასაწყისი აჭარაში და მემედ აბაშიძის ბავშვობა და ყრმობა // ლიტერატურული აჭარა. - 2003. - №9. - გვ. 11-21.

1487. დაუშვილი ალ. 1924 წლის აგვისტოს მოვლენები და მოსკოვის პოზიცია // კლიო. - 2006. - №30. - გვ. 22-34. რეზ. რუს. ენაზე.

1924 წ. აჯანყების შეფასება ი. ბ. სტალინის მიერ; კრემლის ლიდერების პაექრობა გურიაში გლეხთა გამოსვლების გამომწვევ მიზეზებზე. საბჭოთა კავშირის პოლიტიზუროს მიერ გატარებული ღონისძიებები საქართველოში არსებული ვითარების შესაცვლელად.

1488. დიასამიძე ა. გრიგოლ გურიელი – 1874 წლის ექსპედიციის ხელმძღვანელი // ლიტერატურული აჭარა. - 2003. - №2. - გვ. 76-82; №3-4. - გვ. 95-100.

XIX ს-ის სამხედრო და საზოგადო მოღვაწე გრ. გურიელის როლსა და მისიაზე ოსმალეთის საქართველოში მოწყობილ სამხედრო-სტრატეგიული დანიშნულების მქონე ექსპედიციაში. ექსპედიციის მონაწილე მკვლევარების გიორგი ყაზბეგისა და ზაქარია ჭიჭინაძის ნაშრომების განხილვა.

1489. დიასამიძე ა. საქართველოს მთლიანობის ნიადაგზე // ლიტერატურული აჭარა. - 2003. - №9. - გვ. 32-34.

მემედ აბაშიძის წვლილი საქართველოს ტერიტორიული და ეროვნული მთლიანობის საქმეში.

1490. ელაშვილი თ. საქართველოს შესახებ // იმიჯი. - 2003. - №1. - გვ. 16-17.

პანკისის ხეობის ჩეჩენი ბოვეიკებისაგან გათავისუფლების ოპერაცია და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა.

1491. ვარდმანიძე ჯ. თურქად წოდებული მესხის ისტორიისა და ეროვნული ცნობიერების ზოგიერთი საკითხი // ხერთვისი. - 2005. - №1 (ივნისი). - გვ. 32-33.

სამხრეთ საქართველოში მიმდინარე ისტორიული პროცესები XV საუკუნიდან დღემდე.

1492. ვაშაყმაძე ნ. საქართველო-აზერბაიჯანის რესპუბლიკათა ურთიერთობები 1918 წელს // კლიო. - 2006. - №29. - გვ. 45-49. რეზ. რუს. ენაზე.

ამიერკავკასიაში შექმნილი მდგომარეობა და საქართველო-ახერბაიჯანის რესპუბლიკებს შორის ჩამოყალიბებული პარტნიორული ურთიერთობები I მსოფლიო ომის შემდეგ

1493. ვახვახიშვილი ნ. ციხისჯვარელთა საგვარეულოს ისტორიისათვის: (სულა კალმახელი და ივანე ყვარყვარე ჯაყელ-ციხისჯვარელი) // კლიო. - 2005. - №26. - გვ. 56-64. რეზ. რუს. ენაზე.

სულა კალმახელი და ივანე ყვარყვარე ჯაყელ-ციხისჯვარელი ქართულ საისტორიო წყაროებში („ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, „მატიანე ქართლისა“); მათი ბრძოლა საქართველოს კეთილდღეობისათვის.

1494. ვახვახიშვილი ნ. ჯაყელ-ციხისჯვარელთა საგვარეულო ისტორიისათვის: სარგის I ჯაყელ-ციხისჯვარელი // კლიო. - 2005. - №27. - გვ. 19-31. რეზ. რუს. ენაზე.

XIII ს-ის II ნახევრის მოღვაწის, სამცხის ერისთავთერისთავის – სარგის I ჯაყელ-ციხისჯვარელის პოლიტიკური კარიერის ეტაპები.

1495. ვახტანგიშვილი თ. ეპიზოდი „ლეკიანობის“ წინააღმდეგ ქართველი ხალხის ბრძოლის ისტორიიდან // საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები. - 2006. - ტ. 9. - გვ. 112-114. რეზ. რუს. ენაზე.

ქართველი ხალხის ბრძოლა ლეკთა თარეშის წინააღმდეგ მე-18 ს-ში.

1496. ზანდუკელი მ. პაუ, რა შორიდან მოვდივართ // კავკასიურ-ახლო აღმოსავლური კრებული. - 2006. - ტ. 12. - გვ. 23-24.

მანანა ხიდაშელის პიროვნული პორტრეტი – დაბადების 70 წლისთავის გამო.

1497. ზარიძე გ. აფხაზეთის თავადაზნაურობის სოციალური ურთიერთობის ზოგიერთი ასპექტი XIX საუკუნეში // კლიო. - 2006. - №30. - გვ. 100-112. რეზ. რუს. ენაზე.

მეფის რუსეთის პოლიტიკა აფხაზეთში 1810-1870 წლებში: აფხაზეთის სამთავროს გაუქმება, თავადაზნაურობის ბედი, საგლეხო რეფორმა, ცარიზმის ბატონობა, სოხუმის საადგილმამულო კომისიის საქმიანობა და სხვ.

1498. თაკალანძე ნ. რუსეთ-ოსმალეთის ინტერესთა კონფლიქტი აფხაზეთში: (XIX ს. I მეოთხედი) // წელიწადი: თსუ ზუგდიდის ფილიალი. - 2005. - ტ. 1. - გვ. 96-99. რეზ. ინგლ. ენაზე.

რუსულ-ქრისტიანული და ოსმალურ-მაჰმადიანური ძალების დაპირისპირება აფხაზეთის სამთავროში: აფხაზეთის მთავრის გიორგი შარვაშიძის ურთიერთობები რუსეთის მთავრობასთან და ადგილობრივი მოსახლეობის ანტირუსული ორიენტაცია.

1499. თოღაძე ხ. ერთი ცნობა ყირიმის ომში მონაწილე ქართველი მილიციელების რაოდენობის შესახებ // კლიო. - 2005. - №25. - გვ. 58-64. რეზ. რუს. ენაზე.

კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის მიერ შეკრებილი აქტების მე-11 ტომში დაცული დოკუმენტი, რომელიც 1853 წელს დაწეულ რუსეთ-თურქეთის ომს (ცნობილი ყირიმის ომის სახელწოდებით) ეხება.

1500. თოღაძე ხ. თავად-აზნაურთა მონაწილეობა აღმოსავლეთ საქართველოს 1829 წლის სახალხო მღელვარებაში // კლიო. - 2005. - №25. - გვ. 49-57. რეზ. რუს. ენაზე.

მთავარმართებელ ივანე პასკევიჩის მცდელობა საქართველოში სავალდებულო გაწვევის ელემენტები შემოეტანა და ქართველთა უარი რუსის ჯარში სამსახურზე.

1501. იღურიძე მ. ორი ოსმალური დოკუმენტი მე-18 საუკუნის 80-იანი წლების დასავლეთ საქართველოს შესახებ // მრავალთავი: ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი. - 2003. - ტ. 20. - გვ. 294-303. რეზ. რუს. ენაზე.

იმერეთის მეფე სოლომონ I-ის გარდაცვალების შემდგომ განვითარებული პოლიტიკური პროცესები – თურქეთის რესპუბლიკაში დაცული ორი დოკუმენტი: არზრუმის ვალის აღი ფაშასა და ჩილდირის ვალის სულეიმან ფაშას 1785 წლის 9 და 15 აპრილით დათარიღებული მოხსენებითი ბარათების მიხედვით.

1502. ინასარიძე ტ. სამხარეთმცოდნო ძიებანი – სამხრეთ-დასავლეთი საქართველო 1918 წელს / მასალა მოამზადა ფრიდონ სიხარულიძემ // ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სერია. - 2005. - კრ. 8. - გვ. 77-87. რეზ. რუს. ენაზე.

ტროფიმე ინასარიძის დღიურის მეორე ნაწილის პუბლიკაცია (დასაწყისი იხ. ბსუ შრომები, 2004, კრ. 6, გვ. 317-321), რომელიც

საყურადღებო წყაროა ბათუმის საზოგადოებრივი და ეკონომიური მდგომარეობის შესასწავლად.

1503. ინაური ვ. ჯავახეთი და გვარამ მამფალი „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ // თსუ მესხეთის ფილიალის შრომები: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სერია. - 2006. - ტ. 1. - გვ. 39-45. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

VIII-IX სს.-ის ჯავახეთის რელიგიურ-კულტურულ-პოლიტიკური ცხოვრება და მისი მთავრის გვარამ მამფალის როლი ამ კუთხის აღორძინების საქმეში გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებისა“ და „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით.

1504. კალანდაძე რ. ახალი დოკუმენტები საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიისათვის // ივერია: ქართულ-ევროპული ინსტიტუტი. - 2003-2004. - ტ. 10-11. - გვ. 129-184.

საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივისთვის გადაცემული ამერიკის ბიბლიოთეკებში დაცული საარქივო კოლექციის ნაწილი მნიშვნელოვნად ამდიდრებს საქართველოს პირველი რესპუბლიკის ისტორიის წყაროთმცოდნეობის ბაზას, ავსებს მისი ისტორიის ჯერ კიდევ უცნობ ფაქტებს და მოკლენებს.

1505. კალანდაძე რ. ახალი საისტორიო წყაროები საქართველოს პირველი რესპუბლიკის შესახებ // ივერია: ქართულ-ევროპული ინსტიტუტი. - 2003-2004. - ტ. 10-11. - გვ. 89-94.

საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო არქივში დაცული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არქივის პარვარდის ბიბლიოთეკისა და ლევილის ფონდის მასალები და მათი მნიშვნელობა.

1506. კაჯაშვილი მ. ფარსადან გორგიჯანიძე XVII საუკუნის დასაწყისის ქართლის ისტორიის შესახებ // კლიო. - 2005. - №28. - გვ. 30-44. რეზ. რუს. ენაზე.

ფარსადან გორგიჯანიძის „საქართველოს ისტორია“. თხზულების თხრობის ორიგინალური მანერა და ავტორის სპარსოფილური ტენდენციები.

1507. კახიძე ე. შავიზღვისპირეთის ბერძნული კოლონიზაციის შედეგები // ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმ-

წიფო უნივერსიტეტის შრომები: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სერია. - 2005. - კრ. 8. - გვ. 141-1119. რეზ. რუს. ენაზე.

ბერძნების გამოჩენა ძვ. წ.-ის VII ს-ის ბოლოს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. დიდი ბერძნული კოლონიზაციის მნიშვნელოვანი კვალი შავიზღვისპირეთის ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრებაში: სასაქონლო ურთიერთობების ჩამოყალიბება, რელიგიური და კულტურული ფასეულობების გავრცელება, ფულადი ერთეულის ბრუნვაში გაშვება და სხვ.

1508. კახიძე ნ. მაჭახლის ხეობის ისტორიული წარსულიდან // ხერთვისი. - 2005. - №1 (ივნისი). - გვ. 34-37.

მაჭახლის ხეობის გეოგრაფიული, ისტორიული, ეკონომიკური, ეთნოგრაფიული და გენეალოგიური მიმოხილვა.

1509. კელაპტრიშვილი ზ. საქართველო-დაღესტნის ურთიერთობა XVI ს. // კლიო. - 2006. - №29. - გვ. 32-44. რეზ. რუს. ენაზე.

გამწვავებული ურთიერთობა დაღესტნის მსხვილ ფეოდალურ და პოლიტიკურ წარმონაქმნ საშამხლოსა და კახეთს შორის. საშამხლო-დაღესტნის პროთურქული პოზიცია.

1510. კირვალიძე სულიკო (ღამარა). დავით აღმაშენებლის მოღვაწეობა ქართული კულტურის სფეროში // თეატრმცოდნეობითი და კინომცოდნეობითი ძიებანი. - 2006. - №9(28). - გვ. 255-262. რეზ. ინგლ. ენაზე.

დავით აღმაშენებლის საშინაო და საგარეო პოლიტიკის უშუალო შედეგი – ქართული კულტურის განვითარება და წინსვლა XI-XII სს-ში.

1511. კობახიძე ზ. ქართული ემიგრაციის მონაწილეობა მეორე მსოფლიო ომში // კლიო. - 2006. - №29. - გვ. 178-187. რეზ. რუს. ენაზე.

გერმანიის მხარეს მებრძოლი ქართველი ემიგრანტები, რომლებიც გერმანიის გამარჯვებას საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ხელსაყრელ პირობად მიიჩნევდნენ.

1512. კუბლაშვილი თ. აფხაზეთის პოლიტიკური მოწყობა ერთიანი საქართველოს ფარგლებში 1921-1926 წწ. // კლიო. - 2006. - №29. - გვ. 147-154. - რეზ. რუს. ენაზე.

აფხაზეთის დამოუკიდებელი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის გამოცხადება 1921 წელს, მოგვიანებით საქართველოს სსრ-ში შესვლა და კონსტიტუციის მიღება 1925 წელს.

1513. კუტაღაძე გ. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიოგრაფიის საკითხები // თსუ მესხეთის ფილიალის შრომები: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სერია. - 2006. - ტ. 1. - გვ. 224-236. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

ნაშრომში განხილულია ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიოგრაფიის სამი ეტაპი: 1. XIX ს. II ნახევრიდან საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე; 2. საბჭოთა პერიოდი; 3. თანამედროვე ეტაპი.

1514. ლომიძე დ. გუდამაყრელთა, მთიულთა, მოხევეთა, თაგაურთა და ქისტთა ფიცისა და ერთგულების წიგნები მეფე ვახტანგ VI-ისადმი // მრავალთავი: ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი. - 2003. - ტ. 20. - გვ. 266-273. რეზ. ინგლ. ენაზე.

კავკასიის მთიანეთის 5 პროვინციის მცხოვრებთა ფიცის წიგნების მნიშვნელობა XVIII საუკუნის 30-იანი წლების კავკასიაში მიმდინარე პროცესების, ამ რეგიონის ხალხების მოსკოვის ქართულ კოლონიასთან და რუსეთთან პოლიტიკური ურთიერთობის შესწავლის საქმეში.

1515. ლორია მ. ქართულ-ებრაული პროლოგოსი ანუ უძმობა ძმანი / მანუჩარ ლორია, ნანა რუხაია // ხერთვისი. - 2005. - №1(ივნისი). - გვ. 40-41.

ებრაელები საქართველოში, მათი ცხოვრების წესი და ქართულ-ებრაული ურთიერთობები.

1516. მამაცაშვილი გ. ქართულ-სომხური ურთიერთობები 1918-1920 წლებში და საქართველოს დამფუძნებელი კრება // კლიო. - 2005. - №28. - გვ. 94-104.

საზღვრების გამიჯვნის პრობლემა სომხეთ-საქართველოს შორის, სომხეთის შეიარაღებულ თავდასხმა საქართველოზე.

1517. მანანა ხიდაშელის ნაშრომების სია // კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული. - 2006. - ტ. 12. - გვ. 305-310.

1968-2007 წლებში გამოცემული მონოგრაფიებისა და სტატიების ჩამონათვალი.



1518. მანველიძე ი. აჭარის ავტონომია და მისი პოლიტიკურ-სამართლებრივი საფუძვლები. - კლიო. - 2005. - №27. - გვ. 123-142. რეზ. რუს. ენაზე.

აჭარის ავტონომიის ისტორიის კვლევა და ამ საკითხთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობა ქართულ ისტორიოგრაფიაში.

1519. მანველიძე ი. ბათუმის ოლქის საკითხი საერთაშორისო დიპლომატიურ ურთიერთობებში 1918-1921 წლებში // თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი: პრომეთე. - 2005. - №5 (17). - გვ. 167-171.

1520. მართალიშვილი ი. რუსეთის აღმოსავლური პოლიტიკა XIX საუკუნის დასაწყისში: (1800-1806) // ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სერია. - 2005. - კრ. 8. - გვ. 115-120. რეზ. რუს. ენაზე.

აღმოსავლეთის საკითხის გააქტიურება საერთაშორისო ურთიერთობებში XIX ს-ის დასაწყისში. საქართველო და მთლიანად კავკასია რუსეთის საგარეო პოლიტიკის ქვაკუთხედი.

1521. მარუშაშვილი ხ. პლატონ იოსელიანი // ბურჯი ეროვნებისა. - 2005. - №10-12. - გვ. 21-27.

